პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
შაბათი
8
სექტემბერი
1934 წ.
№ 208 (4064)

სათესლე ფონდებს განსაკუთრებული ყურადღება

პარტიისა და ხელისუფლების სადირექტივო ორგანოებმა დროზე გააფრთხილეს ადგილობრივი ორგანიზაციები სათესლე ფონდების ვადაზე შეგროვების, გაწმენდის და მომზადების შესახებ. დაწესებულ იქნა მტკიცე ვადები, რომლის თანახმადაც სათესლე მასალის შეგროვება რესპუბლიკაში ძირითადად 15 სექტემბრისათვის უნდა დამთავრდეს.

საშემოდგომო კულტურების **თესვა** აქა-იქ უკვე დაიწყო, ხოლო თესლის შეგროვების საქმეში კვლავ გრძელდება **საგანგაშო ჩამორჩენა.** ტფილისის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომელთაც თუმცა უკვე დაწყებული აქვთ, თესლის შეგროვების გეგმა დღემდე შეასრულეს მხოლოდ 2,5 პროცენტით. ასევე დიდი ჩამორჩენაა ლიუქსემბურგის, თელავის რაიონებსა და სამხრეთ-ოსეთში.

სულ რესპუბლიკაში სათესლე ფონდების შეგროვების გეგმა შესრულებულია, მხოლოდ 17,4 %-ით.

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა სათესლე ფონდების **გაწმენდისა და შეწამვლის** მხრივ. ბევრგან ისევ სჭარბობს კუსტარულობა და ძლიერია მამა-პაპური ტრადიციების გავლენა. არის ფაქტები, როდესაც ზოგიერთი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები თვითდინებით იმეორებენ კულაკური ელემენტების მავნებლური ნაბოდვარს იმის შესახებ რომ თესლი გაუწმენდავადაც ამოვაო და არ იღებენ ზომებს სათესლე მასალის **ამოსვლის უნარიანობის** შესამოწმებლად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თესლი აშკარად დაავადებულია.

ავიღოთ მაგალითისთვის **გორის** რაიონი. ამ რაიონში კოლმეურნეობებს საშემოდგომო კულტურები უკვე დათესილი აქვთ 300 ჰექტარამდე ხოლო იქ თესლის ვარგისიანობის შესამოწმებლად დღემდე არ არის მოწყობილი საკონტროლო ლაბორატორიები. რამოდენიმე დღეა გორის რკინის გზის სადგურში მიღებულია და უპატრონოთ ყრია თესლის ლაბორატორიის მოწყობილება. გორის რაიმიწგანის გამგე ამხ. **ნ. ელბაქიძე** დამშვიდებული შესცქერის ამ მდგომარეობას, კოლმეურნეობები კი თესენ შეუმოწმებელი თესლით.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ზოგიერთი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილება და სოფლის პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ ვერ ითვალისწინებს თესვის კამპანიის პრაქტიკულ საჭიროებებს, მოწყვეტილია სინამდვილისაგან ივიწყებს პარტიის უმნიშვნელოვანესი დირექტივების განხორციელებას, და ყოველივე ამის გამო ვერ ახერხებს თესვის კამპანიაზე ოპერატიულად ხელმძღვანელობას.

მოსავლიანობის გადიდებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შორის სათესლე მასალის ხარისხის გაუმჯობესებას ენიჭება მეტად დიდი მნიშვნელობა. ვერავითარი აგრო კულტურული ღონისძიებების გატარება ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს მოსავლიანობის აწევის მხრივ, თუ თესლი არ არის გაწმენდილი, შეწამლული და შემოწმებული.

ამიტომ უპირველესად ყოვლისა საჭიროა სათესლე მასალების შეგროვების ყოველმხრივი **დაჩქარება**, თესლის სავალდებულო გაწმენდის ჩატარება ყველგან, შეწამვლის წესიერად მოწყობა და თესლის ამოსვლის უნარიანობის გულდასმით შემოწმება.

ამ ღონისძიებათა მტკიცედ გატარება იქნება იმის საიმედო გარანტია, რომ ჩვენ მივაღწევთ კიდევ ახალ წარმატებას მოსავლიანობის გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი გამტკიცების საქმეში.

◆

ლიტერატურის შემდგომი აღმავლობისათვის

საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა დამთავრდა. ყრილობის დიდი მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ იმითი, რომ მან ჯამი გაუკეთა განვლილ მუშაობას და დასახა მხატვრული ლიტერატურის შემდგომი განვითარების კონკრეტული გზები. ყრილობის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ის წარმოადგენდა საბჭოთა კულტურის ზრდის დემონსტრაციას.

მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის პირობებშია შესაძლებელი კულტურის თავისუფალი და შეუჩერებელი ზრდა. ყრილობამ ნათლად გვიჩვენა, თუ რა დიდი მიღწევები გვაქვს კულტურის ზრდის საქმეში. წინათ, ბურჟუაზიის ბატონობის დროს მწერლობა უმთავრესად ვიწრო წრის, „რჩეულ" ადამიანების გაბატონებულ კლასთა წარმომადგენლების ხვედრი იყო. ბურჟუაზიული წესწყობილება ბორკავდა და გასაქანს არ აძლევდა მასის თავისუფალ შემოქმედების განვითარებას. საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა ბურჟუაზიული ლიტერატურის ანტიპოდია. მისი თემაა სინამდვილის სწორი ასახვა მხატვრულ სახეებში. ის არა თუ არ გაურბის სინამდვილეს, არამედ მტკიცედ ეყრდნობა მას.

მუშათა კლასის და ჩვენი პარტიის ბელადმა **ამხ. ი. სტალინმა** საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურას დაუსახა განვითარების სწორი გზა. ეს არის სოციალისტური რეალიზმის გზა. საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა სოციალისტური სინამდვილეს ასახავს. ის მხატვრულ სახეებში გვიჩვენებს სოციალიზმის დამკვიდრებას და გამარჯვებას კლასობრივი ბრძოლის ფონზე. საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა ასახავს იმ გიგანტიურ მუშაობას, რომელიც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს უკლასო სოციალისტური საზოგადოების განხორციელებისათვის. ასეთია საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის, საბჭოთა მწერლების მოქმედების „ტიპიური" საზოგადოებრივი ობიექტი. სოციალისტური მშენებლობის გმირები, დამკვრელები, მუშები და კოლმეურნეები, წარჩინებული ადამიანები და სხ. წარმოადგენენ საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის „ტიპიურ" გმირებს.

საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ იქ წარმოდგენილი იყო ნაციონალური მხატვრული ლიტერატურები. ნაციონალურ ლიტერატურათა შესახებ ყრილობაზე წაკითხული ცხრა მოხსენება საუკეთესო ფაქტიური ილუსტრაცია იყო იმ უდიდესი კულტურული რევოლუციის, რომელიც განიცადეს საბჭოთა კავშირის ნაციონალურმა რესპუბლიკებმა და ოლქებმა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ისეთი ნაციონალური მხარის ლიტერატურაც, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციამდი მწერლობა სრულებითაც არ ჰქონია.

ნაციონალურ ლიტერატურებს შორის საპატიო ადგილი დაიჭირა ქართულმა ლიტერატურამ, რომელსაც არსებობის ხანგრძლივი და შინაარსით მდიდარი ისტორია აქვს.

ქართულ ლიტერატურას უდიდესი მიღწევები აქვს მოპოვებული თავისი განვითარების საბჭოთა პერიოდში. ამ მიღწევების შემდგომი გამდიდრებისათვის საჭიროა მწერლებმა კიდევ უფრო მეტი ენერგიით მოჰკიდონ ხელი თანამედროვე კულტურის მწვერვალების დაპყრობას.

ყრილობის მუშაობის მასალები, იქ წაკითხული მოხსენებები საუკეთესო მასალა არის საბჭოთა მხატვრული ლიტერატურული შემოქმედების კონკრეტული ფორმების სისწორით შესწავლისა და ცალკე მწერლების შეფასებისათვის. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნა ყრილობაზე **ამხ. სტეცკიმ**, ეს მოხსენებები არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ეს პარტიული დადგენილება იყოს, რომელსაც არაფერი არ დაემატება და არც გამოაკლდება.

საბჭოთა მწერლების წინაშე გადაუდებელი ამოცანა დგას: **ჩვენი შესანიშნავი ეპოქის შესაფერისი მხატვრული ნაწარმოებების შექმნა.**

არქტიკის გმირები ბაქოში

ბაქო. 5 სექტემბერი. თავდაცვის სახლის დიდი მოედანი ძლივს იტევს ბაქოს პროლეტარიატის საუკეთესო ადამიანებს, რომლებიც მოგროვდნენ აქ იმისათვის, რომ მიესალმონ საბჭოთა კავშირის გმირებს — ჩელუსკინელებს. მათ გამოჩენას ტრიბუნაზე დამსწრენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. ამხ. ბობროვი, ლაპარაკობს რა ჩრდილოეთის ექსპედიციების მიზნებსა და ამოცანებზე, აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისება საშუალებას გვაძლევს შევუდგეთ ფერადი ლითონის უდიდეს სიმდიდრეთა დამუშავებას, რომლებიც მოიპოვება არქტიკაში.

თავის სიტყვის დასასრულს ამხ. ბობროვი აღნიშნავს ბაქოს თავდაცვა - ავიაქიმის სუსტ მუშაობას და მოუწოდებს ნავთის ბაქოს დამკვრელებს კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით იბრძოლონ იმისათვის, რომ გადააქციონ ბაქო თავდაცვის მიუვალ ციხე - სიმაგრედ.

ამხ. ვოდოპიანოვმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ არქტიკის რა უაღრესად მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა საბჭოთა თვითმფრინავებს. — ყველაზე უფრო ძნელი, — ამბობს იგი, — იყო გადაფრენა კომაევის ყურეში. მე მხოლოდ იქ გავიგე, რომ ვეჯახე ტაიფუნს, რომელმაც დაანგრია იაპონიის ქალაქი ხაკოდატი. ამაზე მე ვუპასუხე: ჩანს საბჭოთა თვითმფრინავები იაპონიის ქალაქებზე უფრო მაგრები არიან.

ჩელუსკინელებს მიესალმნენ შრომის გმირები — ლენინის რაიონის, პიატაკოვის სახელობის ქარხნის დამკვრელები.

დღეს ტფილისს ესტუმრებიან

ჩელუსკინელთა ეპოპეის მონაწილენი: ამხ. ამხ. ვოდოპიანოვი, ბობროვი, ვოლოვიჩი, პროკოპოვიჩი, შერშოვი და პერჩინსკი. ჩვენი მხურვალე პროლეტარული სალამი არქტიკის სახელოვან გმირებს!



იაპონია-მანჯურიის პრესა ომის პროვოკაციის სამსახურში

იაპონია-მანჯურიის გაზეთები წინააღმდეგი არიან მოლაპარაკების განახლებისა

ხაბაროვსკი, 4 სექტემბერი. როგორც ხარბინიდან იტყობინებიან, იაპონია-მანჯურიის პრესა აშკარად უკმაყოფილოა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ხიროტას განცხადებით, რომელიც მან ამას წინათ გააკეთა. ტოკიოს გაზეთების ცნობით, მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ხიროტას იმედი გამოუთქვამს, რომ მოლაპარაკება აღ.-ჩინეთის რკინისგზის გაყიდვის შესახებ მალე განახლდება. ხარბინის პრესა გულახდილად ამბობს: მას, პირიქით, იმედი აქვს, რომ ეს მოლაპარაკება არ განახლდება თეთრგვარდიული „გუან-ბაო" წერს: „მოლაპარაკების განახლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ საბჭოთა მხარე გამოასწორებს თავის წინანდელ მტრულ გამოსვლებს (?) და გარანტიას მოგვცემს, რომ ეს აღარ განმეორდება".

იაპონური გაზეთი „ხარბინ სიმბუნ" ადასტურებს, რომ მანჯურიის მხარეს არ სურს მოლაპარაკების განახლება. „საბჭოთა კავშირი გულწრფელობას (??!) რომ გამოიჩენდეს, — წერს გაზეთი, — მანჯოუ გო მხოლოდ ამ შემთხვევაში არ წავიდოდა მოლაპარაკების განახლების წინააღმდეგ მაგრამ, რამდენადაც ამჟამად საბჭოთა კავშირის გულწრფელობის იმედი არ უნდა გვქონდეს (!), იმდენად ცოტაა მოლაპარაკების განახლების იმედი". (ადს).

აღ.-ჩინეთის რკინისგზის სამხრეთის ხაზზე მარცხის შესახებ

ხაბაროვსკი, 4 სექტემბერი. ხარბინიდან იტყობინებიან, რომ იაპონია-მანჯურიის პრესა არ ერიდება არავითარ ჭორს, უაღრესად სულელურსაც კი, და კვლავინდებურად ცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს თავდასხმა აღ.-ჩინეთის რკინისგზის სამხრეთის ხაზის მატარებელ № 11-ზე მოახდინეს ვიღაც „განსაკუთრებულმა" ბანდიტებმა, რომელნიც „საუცხოოდ იყვნენ შეიარაღებულნი და რომელთაც კავშირი ჰქონდათ საბჭოთა მოსამსახურეებთან". რაც შეეხება ბანდიტების შეიარაღებას, დასტურდება კოკუცუს სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ ბანდიტები იაპონური შაშხანებით იყვნენ შეიარაღებულნი; იტყობინებიან, რომ თუმცა იაპონელებმა თავდასხმის შემდეგ გულდასმით აკრიფეს დარჩენილი ვაზნები, მაგრამ მაინც თავდასხმის ადგილზე იპოვეს ვაზნები იაპონური დამღით „ოსიზავა". ამ თავდასხმის „საეჭვო" ხასიათის ერთერთ დამამტკიცებელ გარემოებად იაპონია-მანჯურიის პრესა აღნიშნავდა, რომ თავდამსხმელებს მარტოდ მარტო მგზავრი იაპონელების დოკუმენტები და პორტფელები აინტერესებდათო. ნამდვილად კი გამოირკვა, რომ მატარებელში მყოფი იაპონელები თავდასხმის შემდეგ დაუყოვნებლივ ჩხრეკდენ მოკლულთა გვამებს და დაჭრილებს და იქვე აბარებდენ იაპონიის პოლიციას. (ადს).

საბჭოთა კონსულის მოთხოვნა

ხაბაროვსკი, 4 სექტემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობის მიხედვით, საბჭოთა კავშირის ხარბინელი გენერალური კონსულის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა ამხ. რაივიდმა დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების ცემა-ტყეპისა და წამების წინააღმდეგ წინათ განცხადებულ პროტესტთა დამატებად, მანჯოუ-გოს ხარბინელი საგანგებო დიპლომატიური აგენტის მოადგილეს სიმამურას ნოტასთან ერთად გაუგზავნა საბჭოთა მოქალაქეების — გრიგორიევის გა გოლოვინას საექიმო შემოწმების აქტები. აღნიშნული მოქალაქენი პატიმრობის შემდეგ სამკურნალოდ მოთავსებული არიან აღ.-ჩინეთის რკინისგზის ცენტრალურ საავადმყოფოში. ამხ. რაივიდი თავის ნოტაში მოითხოვს „იმ შეუწყნარებელი ფიზიკური ზემოქმედების — ცემა-ტყეპისა და წამების — უდავო ფაქტთა სასწრაფოდ გამოძიებას, რომელსაც სამოქალაქო და პოლიციის ხელისუფალნი იყენებენ საბჭოთა კავშირის დაპატიმრებულ მოქალაქეების მიმართ". ამხ. რაივიდი მოითხოვს აგრეთვე „დამნაშავეთა სასტიკ დასჯას". (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია

ჟენევა, 6 სექტემბერი. (საკ. დეპ. სააგ. სპეც. კორესპ.). 7 სექტემბერს გაიხსნება ერთა ლიგის საბჭოს მორიგი სესია. ოფიციალურ დღისწესრიგში შეტანილია 19 პუნქტი. აქედან უმრავლესობა შეეხება სხვადასხვა ფინანსიურ და ადმინისტრატიულ საკითხებს და აგრეთვე ეროვნულ უმცირესობებს.

დღისწესრიგის უკანასკნელ პუნქტად აღნიშნულია საარის საკითხი. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვა იტალიის წარმომადგენელი ერთა ლიგაში, რომელიც მოხსენებას გააკეთებს „სამთა კომიტეტის" და 1935 წელს საარის ოლქში პლებისციტის მოსამზადებლად გამოყოფილი კომისიის მუშაობის შესახებ.

მოსალოდნელია აგრეთვე საფრანგეთის მთავრობის მემორანდუმის განხილვა საარის საკითხზე. ამ მემორანდუმს აქ აფასებენ, როგორც მეტად მარჯვე დიპლომატიურ ნაბიჯს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს 1935 წლის იანვარში გერმანიის შანსების გაუარესება.

10 სექტემბერს გაიხსნება ერთა ლიგის მე-15 მორიგი კრება. კრების ფართო დღის წესრიგში მთავარი ადგილი უკავია ერთა ლიგის გენერალური მდივნის მოხსენებას, ლიგის მუშაობაზე მიმდინარე წლის განმავლობაში. მოხსენების შემდეგ გაიმართება დისკუსია საერთაშორისო პოლიტიკის ყველა საკითხის შესახებ.

ფიქრობენ, რომ განიარაღების კონფერენციის ბიუროს სხდომა არ იქნება მოწვეული 25 სექტემბერზე ადრე. (ადს).

◆

ყრილობა თუ საცდელი მობილიზაცია

(„პრავდას" პარიზელი კორესპონდენტისაგან")

პარიზი, 6 სექტემბერი. საფრანგეთის მთელი პრესა გაცხოველებით ეხება ნაციონალ-სოციალისტების ყრილობას ნიურნბერგში და ჰიტლერის მიერ გუშინ წაკითხულ დეკლარაციას ყველა კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მოიერიშე რაზმები ყრილობაზე გაცილებით უფრო თვალსაჩინო როლს თამაშობენ, ვიდრე გასულ წელს და რომ, ერთის მხრით, რეიხსვერი პირველად ღებულობს მონაწილეობას ნაციონალ სოციალისტთა ყრილობაზე. სამხედრო პარადები და რეიხსვერის მონაწილეობა ყრილობას სამხედრო მანიფესტაციის ხასიათს აძლევენ. მეორე მხრივ, აქ აღნიშნავენ, რომ საუცხოოდაა მოწყობილი „ფაშისტური ბაზრობა". ეს იმას გვიჩვენებს, თუ რა ადვილად შეიძლება მოეწყოს გერმანიაში ათიათასობით ადამიანების გადაყვან-გადმოყვანა და მათი მომარაგება. უბრალო ენაზე ამას ეწოდება „საცდელი მობილიზაცია!— წერს ორმესონი „ფიგაროს" მოწინავეში სათაურით „ყრილობა თუ დიდი მანევრები". ორმესონი მოგვაგონებს 20 აგვისტოს დემონსტრაციას კობლენცში, საფრანგეთის საზღვარზე, და აღნიშნავს, რომ ნიურენბერგი საზღვარზე იმყოფება, ამასთან იგი წერს:

„გენერალურმა შტაბმა უაღრესად დამახასიათებელი ცდა ჩაატარა. ამ ცდამ დაადასტურა, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში შესაძლებელია უამრავი ხალხის გადაყვანა ერთი ქალაქიდან მეორეში. მან ცხადყო, რომ მიმოსვლის გზები, სანაპირო ქუჩები, ვაგონები, საუცხოვო მდგომარეობაშია და მზად არიან მობილიზაციისათვის. თუ ამ დემონსტრაციას დაუმატებთ იმ ფაქტს, რომ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გამალებით წარმოებს შეიარაღება, რომ სამხედრო ფაბრიკები დღისით და ღამით მუშაობენ, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ფაშისტური მანიფესტაციები საუცხოოდ ემსახურებიან გერმანიის გენერალური შტაბის ზრახვებს. გაზეთები ეხებიან იმ დეკლარაციას, რომლითაც გამოცხადებულია, რომ „დასრულდა ნაციონალ - სოციალისტური რევოლუცია" და რომელიც ამავე დროს მუქარით მიმართავს მზარდ ოპოზიციას.

დეკლარაციამ პარიზში ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ გერმანიის ფაშიზმი იმყოფება უმწეობის, ნგრევის და ღრმა შეშფოთების მდგომარეობაში. ამ დეკლარაციაში, — წერს „ერ ნუველი", — არის რაღაც იმედის გაცრუება და ერთგვარი მელანქოლია, ყოველ შემთხვევაში ამ დეკლარაციაში არავითარი აღგზნება არა ჩანს ყოველივე ეს განცვიფრებაში მოიყვანს მთელ საზოგადოებრივ აზრს. გერმანიის ბელადი იძულებული იყო ფაქტიურად აღენიშნა ფაშისტური რეჟიმის სრული გაკოტრება. კანცლერი ჰიტლერი ლაპარაკობდა, როგორც გაკოტრებული ადამიანი".

დომინიკი „რეპუბლიკში", ეხება რა განცხადებას იმ ათასი წლის შესახებ, რომლის განმავლობაშიაც იარსებებს ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმი, წერს: „შესაძლებელია ჰიტლერს თვითონაც არ ესმის, თუ რა საშიშია ეს სიტყვები".

ამ განცხადებას დომინიკი უწოდებს „ბავშვურ სისულელეს, რომლის წინააღმდეგ გალაშქრებაც კი შეუძლებელია რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება საღ მოსაზრებას".

„ნაციონალ სოციალისტები, — დაასკვნის დომინიკი, — ფიქრობენ, რომ გერმანიამ ათასი წელიწადი უნდა დაჰყოს იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იგი მათ ჩააყენეს. და ეს იმ დროს, როცა მწვავდება სოციალური კრიზისი, იზრდება უმუშევრობა, მცირდება სამუშაო დრო, მატულობს ფასები, როცა მუშაობას უკრძალავენ 25 წლისაზე ნაკლებ პირებს, როცა მთელ ქვეყანაში, შავი ჭირივით ვრცელდება მაბეზღრობა? დარწმუნებული არიან თუ არა ისინი თუნდაც იმაში, თუ როგორ გაივლის უახლოესი ექვსი თვე? იქნება გერმანია, გოეტეს, ბეტჰოვენის და კანტის ძველი გერმანია მათ მიაჩნიათ ისეთ მკვდარ პეპლად, რომელსაც კოლოფის ძირს მიაბნევენ ხოლმე ქინძისთავით მუზეუმის დასამშვენებლად"? (ადს).

◆

საბჭოთა მეზღვაურები პოლონეთში

„გაზეტა პოლსკას" წერილი

ვარშავა, 6 სექტემბერი. „გაზეტა პოლსკამ" წერილი უძღვნა საბჭოთა მეზღვაურების პოლონეთში ჩასვლას, სადაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა მეზღვაურებმა პოლონეთში დასტოვეს საუკეთესო მოგონება. გაზეთი გამოსთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა მეზღვაურების მიერ დატოვებული კარგი შთაბეჭდილებები ხელს შეუწყობენ ორივე ქვეყნის ხალხთა დაახლოებას.

ყველა გაზეთი ბეჭდავს ესკადრის უფროსის — ამხ. გალერის ინტერვიუს პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან პოლონეთში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ. (ადს).

ტრანსპორტზე მომუშავეების გაფიცვა ტოკიოში

ტოკიო, 5 სექტემბერი. მუნიციპალიტეტმა უარი უთხრა ქალაქის ტრანსპორტის მუშებს მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე. საგაფიცვო კომიტეტმა 4 სექტემბრიდან გამოაცხადა საყოველთაო გაფიცვა. გაფიცვის გამოცხადებამდეც კი, ბევრმა მუშამ მიატოვა სამუშაო. 5 სექტემბერს მუშაობა შეწყვიტეს ქალაქის ყველა სახის ტრანსპორტის მუშებმა — ვატმანებმა, კონდუქტორებმა, მეისრეებმა, ელექტრო-მონტიორებმა, შოფერებმა და ავტობუსების კონდუქტორებმა, გაზეთების გადმოცემით გაფიცულთა შორის არ გამოჩენილა არცერთი შტრეიკბრეხერი. ოსაკას ტრამვაელებმა, სოლიდარობის ნიშნად საგაფიცვო ფონდში გადარიცხეს 1000 იენი. მუნიციპალიტეტმა 5 სექტემბერს ტრამვაი და ავტობუსები აამუშავა ქალაქში ინჟინრებისა და მოსამსახურეების საშუალებით. შტრეიკბრეხერი — წამყვანების გამოუცდელობის გამო ქალაქში ადგილი ჰქონდა რამდენიმე უბედურ შემთხვევას. ხელისუფლებამ გამოაცხადა შტრეიკბრეხერთა შეგროვება დღეში 4 იენად. (ადს).

„წით. არმია მშვიდობიანობის სადარაჯოზე"

ჟორჟ ბონეს ახალი სტატია „პტი პარიზიენში"

(„პრავდის" პარიზელი კორესპონდენტისაგან)

პარიზი, 6 სექტემბერი. ყოფილი ფინანსთა მინისტრი ჟორჟ ბონე განაგრძობს საბჭოთა კავშირისადმი მიძღვნილი წერილების გამოქვეყნებას გაზეთ „პტი პარიზიენში". მისი დღევანდელი სტატია მიძღვნილია წითელი არმიისადმი.

„მე განცვიფრებაში მოვედი — წერს ბონე,—როცა ჩემ მიერ გამოკითხულ მუშებსა და გლეხებს შევამჩნიე წითელი არმიით სიამაყის ასეთი გრძნობა და ასეთი ურყევი რწმენა მისი ძალისადმი. წითელი არმიის მეომრები სარგებლობენ არა მარტო პატივისცემით, არამედ ისინი უზრუნველყოფილი არიან ყოველივე იმით, რაც კი საჭიროა, მათ დიდი ყურადღებით ეპყრობიან. ამ ამბავს მე იმიტომ აღვნიშნავ, რომ ის ყურადღება, რომლითაც ხალხი ეკიდება არმიას, წარმოადგენს მისი (არმიის), ძალის ერთერთ ელემენტს".

შემდეგ ბონე ხაზგასმით აღნიშნავს წითელი არმიის და საბჭოთა ქიმიური მრეწველობის ტექნიკური შეიარაღების მაღალ დონეს.

ეხება რა ფლოტს, ბონე აღნიშნავს, რომ საბჭოთა გემები შორეულ აღმოსავლეთში „მიზნად ისახავენ თავიდან აცილონ პრიმორიეს ოლქს პირდაპირი საფრთხე".

ავტორი აღფრთოვანებით ლაპარაკობს საბჭოთა ავიაციის შესახებ. ავიაცია, — ამბობს ბონე, — წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მთავრობის სიამაყეს. უკანასკნელი წლების განმავლობაში მიღწევები არც ერთ სხვა დარგში არ ყოფილა ისეთი სწრაფი, როგორც ავიაციის დარგში".

"ბონეს აზრით, საბჭოთა ავიაცია თავისი სიძლიერით სჭარბობს ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის არმიებს. რაც შეეხება მფრინავთა შემადგენლობას, — მათი სიმამაცე და ოსტატობა საუცხოვოა. ამას, — წერს ბონე, — ბრწყინვალედ ადასტურებს იმ წითელი მფრინავების გმირობა, რომლებმაც მატერიკზე მოიყვანეს „ჩელუსკინის" მგზავრები.

წერილის დასასრულს მოყვანილია ციტატები ამხ. ვოროშილოვის და ამხ. ლიტვინოვის სიტყვებიდან, რომ საბჭოთა კავშირს არ სურს ომი, მაგრამ მზად არის მოიგერიოს ყოველგვარი თავდასხმა (ადს).

ამერიკაში გაფიცულია 200.000 ფეიქარი

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. ფეიქრების გაფიცვა ამერიკის შეერთებულ შტატებში სწრაფად იზრდება. იუნაიტედ პრეს-ის სააგენტოს ცნობებით, გაფიცულთა რაოდენობა ამჟამად 220.000 კაცს სჭარბობს.

გაფიცვის ადგილებში გაგზავნილი არიან სამხედრო ნაწილები და პოლიციის დიდი რაზმები... (დამახინჯებულია) დასავლეთ კაროლინის შტატიდან იუწყებიან, რომ ჯარის ნაწილებმა ვერ შესძლეს წესრიგის დამყარება (ადს).

◆

ჩინელების გადასახლება

შანხაი, 6 სექტემბერი. („პრავდის" საკ. კორ.) გუშინ შანხაიში ჩამოვიდა ჩინელთა ორი ჯგუფი (უმთავრესად მუშები), რომლებიც კრიზისის შენელების მიზნით გადმოსახლებული არიან იაპონიიდან. ყველა გადასასახლებელი იაპონიის პოლიციამ ძალით აიყვანა გემზე. იმ ჩინელებს, რომლებიც არ დაემორჩილნენ პოლიციის განკარგულებას, სასტიკად სცემეს. ერთი ჩინელი იაპონელებმა გემიდან ზღვაში გადააგდეს. (ადს).



იაპონელი პროვოკატორები ცდილობენ აიძულონ აღმოს. ჩინეთის რკ. გზის დაპატიმრებული საბჭოთა მოხელეები, — აღიარონ, რომ ისინი აფეთქებდენ რკინის გზას და აფერხებდენ მოძრაობას ამ გზაზე.

(„ჟურნალ დე მოსკუ"-დან).

ა-კ ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოში

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დ. მუსაბეკოვი გაემგზავრა მორიგ შვებულებაში.

ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ამხ. ს.პ. ჯულელს (ადს).

◆

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ში

სპარსელ პოეტის ფირდოუსის დაბადების 1.000 წლისთავის ჩატარების შესახებ

სპარსეთის დიდი პოეტის ფირდოუსის დაბადების 1.000 წლისთავის აღსანიშნავად საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა:

14 სექტემბერს რუსთაველის თეატრში მოეწყოს ფირდოუსის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა (სამხატვრო ნაწილით).

საზეიმო სხდომის გახსნა და შესავალი სიტყვის წარმოთქმა დაევალოს **ამხ. ფ. მახარაძეს.** მოხსენება თემაზე — „ფირდოუსის ცხოვრება და შემოქმედება" დავალებული აქვს **პროფ. შ. ნუცუბიძეს.**

26 სექტემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მოეწყოს შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ფირდოუსისადმი. სესიის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს **ამხ. ლ. აღნიაშვილს.**

სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალა უზრუნველყოს ფირდოუსის პოემის „შაჰ-ნამეს" გამოცემა 14 სექტემბრისათვის. შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში გამოყოფილ იქნება ფირდოუსის სპეციალური სექცია, რომელშიაც იწარმოებს სპარსეთის მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსების (ონსორის, ფირდოუსის, ომარ ხაიამის, ნიზამის, საადის და სხვების) შესწავლა.

განსახკომს დაევალა 13 სექტემბერს გახსნას საქართველოს მუზეუმში ფირდოუსისადმი მიძღვნილი გამოფენა.

იუბილესათვის ხელმძღვანელობის გასაწევად საქართველოს სახკომსაბჭოსთან მოეწყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. გ. ყურულაშვილი, (თავმჯდომარე), ამხ. მ. ტოროშელიძე, ე. გორდელაძე, ლ. აღნიაშვილი, და ს. ახმეტელი.

საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად სპარსეთში იგზავნება ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფ. ი. ნ. მარი.

საბჭოთა კავშირში

ნავთბურღვის ამერიკული სისტემა სურახანის სარეწაოებზე (ბაქო)

პლანერისტების შეკრება

კოქტებელი, 6 სექტ. („პრავდის" სპეც. კორ). კლემენტიევის მთის ვრცელ პლატოზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. გზატკეცილზე მიემართებიან ავტობუსები, ურმები, ეტლები. პლანერისტების მე-10 საკავშირო შეკრებაზე ჩამოვიდენ არა მარტო ახლო-მახლო, არამედ ძველი ყირიმის, კარასუ-ბაზარის, ფეოდოსიის და სიმფეროპოლის რაიონების კოლმეურნეები.

200-მდე პლანერისტი ლურჯ ტანსაცმელში მწყობრ რიგად გაიშალა. აღლუმი მიიღო ყირიმის რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ — ამხ. **ნესტრუევმა** და შეკრების უფროსმა ამხ. **მინოვმა.**

აღლუმის შემდეგ მოეწყო ხანმოკლე მიტინგი. შეკრების სარდლობის წარმომადგენელმა ამხ. ლეონტიევმა წაიკითხა მისასალმებელი დეპეშა ამხ. ამხ. **ალკსნისის, უნშლიხტის, ეიდემანის, შვერნიკის** და ა. ლ. კ. კ.-ს ც. კ.-ის მდივნის ამხ. **კოსარევის** მიმართ. ყირიმის სახკომსაბჭოს სახელით ამხ. ნესტრუევმა გადასცა შეკრებას ინჟ. ანტონოვის კონსტრუქციის ახალი პლანერი „როტ ფრონტ — 5".

ავტო-მანქანების და ტრაქტორების გამოშვება

მოსკოვი, 5 სექტ. საბჭოთა კავშირის ავტო-ქარხნებმა გამოუშვეს აგვისტოში 6.235 ავტო-მანქანა (გეგმის 96,8 პროც.). მათ შორის 4.983 საბარგო ავტომობილი. სტალინის სახელობის მოსკოვის ქარხანამ მისცა ქვეყანას აგვისტოში — 1935 საბარგო მანქანა, იაროსლავლისამ — 215, ხოლო გორკისამ — 2.833.

გარდა ამისა, აგვისტოში საბჭოთა კავშირის წარმოებებიდან გამოშვებულია 7743 ბორბლებიანი ტრაქტორი (გეგმის 100,5 პროც.). მათ შორის სტალინგრადის ქარხანამ გამოუშვა — 4.203 ტრაქტორი, ხარკოვისამ — 3.540, ხოლო ჩელიაბინსკის ქარხანამ — 1.010 მუხლუხოვანი ტრაქტორი.

ფასების სახელმწიფო ინსპექციის რეორგანიზაცია

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა გადასცეს საკავშირო ფინსახკომის ფასთა სახელმწიფო ინსპექცია მთელი თავისი ადგილობრივი ორგანოებით, შტატებით, კრედიტებით და საბიუჯეტო ასიგნობებით სსრკ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

საკავშირო ფინსახკომს დაევალა ეს რეორგანიზაცია ჩაატაროს 10 დღის განმავლობაში.

მე-50.000 ავტომობილი

მოსკოვი, 6 სექტემბერი. დღეს ამხ. სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის კონვეიერიდან გადმოდის მეორმოცდაათიათასე ავტომობილი. ქარხანამ განვითარების გრძელი მანძილი განვლო მთელ ნახევარ ტონიანი მანქანების „ამო—ფ—15"-ის გამოშვების შემდეგ. ამ ავტომობილებს ქარხანა ამზადებდა კუსტარულად მიღებული საიმპორტო ნაწილებიდან.

ამჟამად ქარხანა უკვე უშვებს 3 ტონიან საბარგო ავტომობილებს და — „ზის—5" და სამღერძიან ავტომობილებს „ზის—6".

უკვე დაწყებულია ქარხნის გენერალური რეკონსტრუქცია. 18 თვის შემდეგ, აღნიშნულმა ქარხანამ ქვეყანას უნდა მისცეს 70.000 საბარგო და 10.000 შესანიშნავად მოწყობილი შიგადიდილიანი მსუბუქი ავტომანქანა. (ადს).

◆

ახალი საკონსერვო გიგანტი

ერევანი, 6 სექტემბერი. 1935 წელს დაიწყება სარდარაბადის დიდი საკონსერვო ქარხნის მშენებლობა. ქარხნის პირველი რიგის სიმძლავრე 25 მილიონი ქილა ხილ-ბოსტნეულის კონსერვი. შემდეგში ქარხნის სიმძლავრე აყვანილ იქნება 75 მილიონ ქილა კონსერვამდე წელიწადში. ქარხნის ნედლეულ ბაზას წარმოადგენს კონსერვტრესტის ხილ-ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც სარდარაბადის ველზეა და რომლებიც ახლა ირწყვება სარდარაბადის სარწყავი არხით. მეორე ხუთწლედის დამლევისათვის აღნიშნულ საბჭოთა მეურნეობებში ათვისებულ უნდა იქნას 6.400 ჰექტარი, აქედან 4.300 ჰექტარი დაკავებული იქნება ხეხილის ბაღებით, სომხეთის კვების მრეწველობის საკონტროლო ციფრები 1935 წლისათვის ითვალისწინებენ 2 მილიონ მანეთს ქარხნის მშენებლობის დასაწყებად, ქარხნის საერთო ღირებულება კი 7 მილიონ მანეთს უდრის. (ადს).

მთლიანად ავიღოთ და შევინახოთ ბოსტნეულის მოსავალი

„პრავდა“-ს მოწინავე, 7 IX

ხარკოვიდან, სიმფეროპოლიდან, კიევიდან და სხვა ადგილებიდან იძლევიან სიგნალებს: ბოსტნებში ყვითლდება გადამწიფებული ბოსტნეული, ტრანსპორტის მოლოდინში ლპება და ფუჭდება კიტრი, კომბოსტო.

როგორც ვიცით, ბოსტნეულს ჩვენი ქვეყნის სასურსათო ბალანსში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. პურთან, ხორცთან და თევზთან ერთად — ეს კვების ყველაზე უფრო გავრცელებული პროდუქტია.

პირველი ხუთწლედის უაღრესად დაძაბულ წლეებში პარტიამ და მთავრობამ უდიდესი სახსრები და ადამიანთა საგრძნობი ძალები გამოჰყვეს ბოსტნეულის პრობლემის გადასაჭრელად. 1930, 1931 და 1932 წლებს სხვათაშორის ახასიათებს საგარეუბნო მეურნეობის უმაგალითო გაშლა. ამ დროს ათასობით შეიქმნა როგორც საქარხნო, ისე კოოპერატიული საბჭოთა მეურნეობები. მრეწველობის და კოოპერაციის მეურნეობებმა წელს უნდა მოგვცენ სამ მილიონ ტონაზე მეტი ბოსტნეული და კარტოფილი. ისინი ხდებიან კვების აღნიშნულ პროდუქტთა უდიდეს მომწოდებლებად ქალაქის მოსახლეობისათვის.

ძირითადი კულტურების — კარტოფილის, კომბოსტოს, სუფრის ჭარხლის და სტაფილოს კარგი მოსავალი საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ მომხმარებლები ახალი ბოსტნეულით და ამასთან საგრძნობი მარაგი შევინახოთ ზამთრისათვის და მომავალი წლის გაზაფხულისათვის. ამისათვის საჭიროა ორგანიზებულად, უდანაკარგებოდ და მტაცებლობის გარეშე ჩავატაროთ მოსავლის აღების კამპანია.

მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის და მრავალი სხვა ქალაქის მშრომელები ახლავე არ არიან კმაყოფილი შემოზიდული ბოსტნეულის ხარისხით და ასორტიმენტით (ხოლო ზოგჯერ წისი რაოდენობითაც). ეს აიხსნება იმით, რომ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მოსავლის აღება და არ არის მოწესრიგებული ბოსტნეულის გადაზიდვა.

20 აგვისტოსათვის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მეურნეობებმა შეაგროვეს 50 ათასი ტონა ბოსტნეული და დაახლოვებით 5,5 ათასი ტონა კარტოფილი. ეს ახალები ბოსტნეულის 4 პროცენტსაც არ შეადგენს. მოსავლის აღება უკეთესად არ მიმდინარეობს სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობებში: იქ აღებულია ბოსტნეულის 7,2 პროცენტი, კარტოფილის — დაახლოებით 3 პროც. პირველ სექტემბრისათვის ცნობები არ მოეპოვება არც მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშათა მომარაგების მთავარ სამმართველოს და არც „ცენტროსოიუზს“. ეს ნაკლებად არ ახასიათებს მათი ხელმძღვანელობის ოპერატიულობას.

რითი ხსნიან თვით საგარეუბნო მეურნეობათა დირექტორები მოსავლის აღების ნელი ტემპით მიმდინარეობას? ყველა ერთხმად გაჰკივის მუშა ხელის ნაკლებობაზე. მართალია, რომ კადრის მუშები არ გვყოფნის. საგარეუბნო მეურნეობების და მუშათა მომარაგების განყოფილებების ყველაზე უფრო გამჭრიახმა ხელმძღვანელებმა ეს წინასწარ გაითვალისწინეს: მუდმივი მუშების ნაკლებობა მათ აინაზღაურეს იმით, რომ ბოსტნეულის გამარგვლისა და აღების საქმეში ფართოდ ჩააბეს ქარხნის მუშები და მათი ოჯახის წევრები. მდგომარეობიდან ასეთი გამოსავალი ახალი როდია, ამას გვიკარნახებს წინა წლების გამოცდილება.

ასი ათასობით მუშები და მოსამსახურეები გამოსასვლელ დღეებში ხალისით ღებულობენ მონაწილეობას თავისი საქარხნო ბოსტნების გამარგვლასა და მოსავლის აღებაში. საგარეუბნო მეურნეობებს ახლაც შეუძლიათ იმედი იქონიონ, რომ ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ასი ათასობით პროლეტარები და მათი ოჯახის წევრები. მაგრამ სახაცილოა იმის ფიქრი, რომ ადამიანების დახმარება სტიქიურად მოვა. ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩაუტარებლად, თვითეულ მუშასთან ინდივიდუალური ხელშეკრულების დაუდებლად, სადაც ზუსტად უნდა იქნეს აღნიშნული ფულადი ან ნატურალური ანაზღაურება, ფიქრიც კი ზედმეტია ქარხნის მუშების ფართო მიზიდვაზე მით უმეტეს, რომ ორნახევარი მილიონი აქტიური პროლეტარი — წარმოების დამკვრელები წელს მუშაობენ თავის ინდივიდუალურ ბოსტნებში.

მუშახელის შეგროვება მოსავლის ახალებად—ეს მარტო მუშათა მომარაგების განყოფილების აპარატის საქმე როდია. ეს არის საქარხნო პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების მოვალეობა. აქ საგრძნობი მოქნილობა და ინიციატივა უნდა გამოიჩინონ პროფკავშირებმა. მაგრამ ისინი ბევრ რაიონში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ უმოქმედობას იჩენენ.

არ კმარა მუშების შეგროვება. საჭიროა მოხერხებულად და რაციონალურად იქნას გამოყენებული ქარხნებისა და ფაბრიკების დახმარება ადამიანებით. ბევრ საგარეუბნო მეურნეობას ჯერ კიდევ არ შესწევს ამის უნარი.

— ორასი კაცი გამოგვიგზავნეს მოსავლის ახალებად ჩვენს საბჭოთა მეურნეობაში, — იწერებიან ენაკიევსკის ლითონის ქარხნის მუშები, — დავდივართ ერთი უბნიდან მეორეში, უსაქმოდ, უხელმძღვანელოდ.

განა ამ მაგალითიდან არ ჩანს, რომ ბევრ მეურნეობაში არ არის ნამდვილი წესრიგი, არ ჩანს საქმის ნამდვილი ბატონ-პატრონი?

საგარეუბნო მეურნეობანი — ეს დიდი რთული სასოფლო-სამეურნეო საწარმოებია. მუშათა მომარაგების განყოფილებების და კოოპერაციის ზოგიერთი ახლანდელი საბჭოთა მეურნეობები — ბოსტნეულის, ხორცის და რძის ნამდვილი ფაბრიკებია. მათი მიწის მასივები ხშირად რამდენიმე ათას ჰექტარს უდრის. ცალკეული ნაკვეთები ათი კილომეტრით და კიდევ უფრო მეტი მანძილით არიან დაშორებული ერთმანეთისაგან.

აი მოსკოვის ზოგიერთ საწარმოს საბჭოთა მეურნეობების ფართობი: ქარხანა „დინამოს“ — 6.140 ჰექტარი, კაგანოვიჩის სახელობის ბურთოსაკისურის ქარხნის—5.000 ჰექტარი, ელექტროკომბინატის — დაახლოებით 7 ათასი ჰექტარი. ეს ყველაზე უფრო დიდი საბჭოთა მეურნეობებია. მაგრამ საშუალო მეურნეობებსაც კი მოეპოებათ რამდენიმე ასეული ჰექტარი სათესი ფართობი. ამ დიდი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მართვა-გამგეობა საგრძნობლად განსხვავდება მუშათა პატარა ბოსტნისადმი ხელმძღვანელობის სისტემისაგან. აქ მუშაობის და ხელმძღვანელობის ორგანიზაციამ ბევრ რამეში უნდა მოგვაგონოს საქალაქო სამრეწველო საწარმოები. უნდა მოგვაგონოს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვაგონებს. ჯერჯერობით აქ გამეფებულია კუსტარულობა. მტკიცე სოციალისტური წესრიგის ნასახიც კი არა ჩანს.

საგარეუბნო მეურნეობანი — მარტო ახალი ბოსტნეულის ფაბრიკები როდია. ესენი არიან დიდი გადამმუშავებელი საწარმოები დასამარილებელი, დასამწნილებელი სახმობი პუნქტების მთელი ქსელით. მათი მოქმედების ამ მხარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. უხვი მოსავალი შეიძლება მთლიანად იქნას შენახული მოსამარაგებლად, თუ ახალი ბოსტნეულის გამოზიდვასთან ერთად მოვაწესრიგებთ მათ ყოველგვარ გადამუშავებასაც დამარილებული პამიდორი და კიტრი, კომბოსტოს წნილი სხვა და სხვაგვარი ტომატები — ყოველივე ეს საკმაო რაოდენობით უნდა მივაწოდოთ მშრომელ მომხმარებელს.

ბოსტნეულის, განსაკუთრებით საგვიანო ბოსტნეულის, გადამუშავების მოწყობა თვით მეურნეობებში მით უფრო საჭიროა, რომ უკვე ახლაც ყოველმხრიდან მოდის დაუსრულებელი საჩივრები ტრანსპორტის ნაკლებობაზე. და სავსებით გარკვეულად უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ ვერ მოვახერხებთ ახალი ბოსტნეულის მნიშვნელოვანი მასის გამოზიდვას. დროა ვიფიქროთ იმაზე, რომ მოვამარაგოთ მუშები ბოსტნეულით ზამთრის პერიოდში.

საგარეუბნო მეურნეობების არსებობის პირველი წლები მათთვის წარმოადგენდენ სწავლების პერიოდს, ყოველგვარი ორგანიზაციული ექსპერიმენტების და ძიების პერიოდს. დაბალი მოსავლიანობა, დიდი დანაკარგები მოსავლის აღების დროს, ბოსტნეულის მაღალი თვითღირებულება, არარენტაბელობა — აი რა ახასიათებდა ამ პერიოდს. ახლა აბსოლუტურად დაუშვებელია ამ პერიოდის „საყმაწვილო სენი“.

ისე როგორც ყველა ქარხანასა და ფაბრიკაში, მრეწველობის და კოოპერაციის საბჭოთა მეურნეობებშიც უნდა დამყარდეს დაურღვეველი სოციალისტური წესრიგი, მტკიცე შრომის დისციპლინა და თვითეულის სრული პასუხისმგებლობა, დაწყებული დირექტორით და გათავებული ზარაჯით, მისთვის ჩაბარებული საქმისათვის.

მხოლოდ ამ პირობით შევძლებთ თავის დროზე და სწრაფად ავიღოთ ბოსტნეულის მოსავალი, გადავზიდოთ ბოსტნეული სავაჭრო ქსელში, გადამმუშავებელ პუნქტებში და ბოსტნეულის შესანახ ადგილებში.

მიზიდეთ თივა პირუტყვს სადგომებთან

(ბაკურიანი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

ბაკურიანის მზე ცხელია და სწრაფად ამზადებს თივას ასაღებად.

ცხის-ჯვრის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ ისარგებლა მზიანი დარებით, რომელიც უკანასკნელ დროს დაიჭირა, და თივის აღება მეურნეობაში მთლიანად დაამთავრა. გეგმით თივა უნდა გაეთიბათ 100 ჰექტარზე, ფაქტიურად გათიბეს 137 ჰექტარზე (თივა გათიბული იქნა ტყიან ნაკვეთებშიც, რაც გეგმით არ იყო გათვალისწინებული).

ასეთ სურათს ვერ ვხედავთ ნარიანში (იალაღი, რომელიც დაშორებულია მეურნეობიდან 30 კილომეტრით), სადაც წელს მეურნეობამ თივა უნდა აიღოს 850 ჰექტარზე, ამ რაოდენობიდან 31 აგვისტოსათვის თივა აღებული იყო 602 ჰექტარზე, აქედან ზვინებად დადგმულია 300 ჰექტარის მოსავალი, დანარჩენი კი დაბულულებულია.

აღსანიშნავია, რომ თივის აღებაზე არავითარი მექანიზაცია არ არის გატარებული, თუმცა მეურნეობას 22 სათიბი მანქანა გააჩნია. ეს ძვირფასი მანქანები სრულიად გამოუყენებელია. მიზეზი? მანქანები ძირში ვერ სჭრიან თივას, ამიტომ თივის საგრძნობი რაოდენობა გვეკარგება. მერე რა გააკეთეს მანქანების გადასაკეთებლად, მათი კონსტრუქციის გასაუმჯობესებლად? არაფერი.

მაგრამ მარტო თივის აღებით არ ამოიწურება ზამთრისათვის მომზადება. საჭიროა თივის ბაზებში მოზიდვა, პირუტყვის სადგომების აგება და არსებული ბინების შეკეთება. **ამ მხრივ მეურნეობას ჯერ არ გაუშლია საჭირო მუშაობა.**

საგრძნობი მიღწევები მოიპოვა მეურნეობამ დასილოსების დარგში. გეგმით ტყის ბალახები უნდა დაესილოსებიათ 46 ტონა, ფაქტიურად კი დაასილოსეს 70,8 ტონა. ამას გარდა, დასამუშავებელი აქვთ 23 ჰექტარი კულტურული ნათესები (მზესუმზირა და სიმინდი). საამისოდ მეურნეობას აქვს სასილოსე კოშკი, რომელიც დაიტევს 270 ტონა სასილოსე მასას. ამასთანავე სათადარიგოდ თხრიან კიდევ ერთ სასილოსე ორმოს.

ცხის-ჯვრის საბჭოთა მეურნეობას ამჟამად ჰყავს 420 სული რქოსანი საქონელი, აქედან 110 სული წლევანდელი ნამატია. სულ წელს მეურნეობაში ადგილი ჰქონდა 129 ცოცხლად მოგების შემთხვევას, აქედან 19 ხბო დაიხოცა პარატიფით, ცოცხალია 110. პარატიფმა დიდი ზიანი მიაყენა მეურნეობას. როგორც კი გაჩნდა ავადმყოფობა, ამის შესახებ აცნობეს საქართველოს ექსპერიმენტალური ვეტერინარიის ინსტიტუტს, საიდანაც ჩამოვიდნენ სამეცნიერო მუშაკები **საყვარელიძე** და **გოცაძე**. საყვარელიძემ წინადადება შეიტანა გამოყოფილ იქნას რამდენიმე ჯანსაღი ძროხა და მათი რძით გამოკვებონ, როგორც ავადმყოფ, ისე ჯანსაღ ძროხების ხბოები. ამ ღონისძიებამ დადებითი შედეგი გამოიღო. **ჯანსაღი ძროხის არც ერთი ხბო არ დაავადებულა.**

—:—

ცხის-ჯვრის საბჭოთა მეურნეობა პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე. რძის პროდუქტების ჩაბარების რვა თვის გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული: რძე უნდა ჩაებარებიათ 53.113 ლიტრი, ფაქტიურად ჩააბარეს 60.151, გეგმის 113,2 პროცენტი. 1252 კილოგრამ კარაქის ნაცვლად ჩაბარებულია 1267 კილო, რაც გეგმის 101,2 პროცენტს შეადგენს.

ციტრუსების ფრონტზე გარღვევაა

აჭარისტანი, გადაუდებელი სამუშაო ციტრუსების ფრონტზე ამჟამად მყნობაა. საქ. კ.პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტის დადგენილებით ციტრუსების მყნობის დამთავრების ვადათ აჭარისტანში მოცემულია 20 სექტემბერი.

აგვისტო უკვე გათავდა და მყნობა მასობრივად ჯერაც არ არის გაშლილი.

ავიღოთ ციფრები. სულ აჭარისტანში წელს უნდა დაიმყნას 760.000 ძირი ციტრუსი. 26 აგვისტოსათვის დამყნილი იყო 256,000 ძირი, რაც გეგმის 33,7 პროცენტს შეადგენს.

იაპონური ხურმა, რომელიც კარგ ნაყოფს იძლევა აფხაზეთში

ქობულეთის რაიონში წელს უნდა დაიმყნას 335.000 ძირი. 26 აგვისტომდე მყნობა ჩატარებული იყო 69.200 ძირზე, რაც გეგმის მხოლოდ 20,8 პროცენტს შეადგენს. საბჭოთა მეურნეობებს ამ რიცხვისათვის შესრულებული ჰქონდათ მყნობის გეგმა 21,9 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეობებს 19,1 პროცენტით.

დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არც ბათომის რაიონშია. გეგმით ბათომის რაიონს მიცემული აქვს 425.000 ძირი. ზემოდ დასახელებული რიცხვისათვის გეგმა ბათომის რაიონში შესრულებული იყო 43,8 პროცენტით.

მყნობის მხრივ ყოვლად დაუშვებელი ჩამორჩენაა მთელ კოლმეურნეობებშიაც. მაგალითად სოფელ ურეხის კოლმეურნეობამ მხოლოდ 18 აგვისტოდან დაიწყო მუშაობა და შესრულებული აქვს უმნიშვნელო პროცენტი. გარღვევაა ბათომის რაიონის კოლმეურნეობებში („გზა სოციალიზმისაკენ“ წითელი ოქტომბერი).

რით უნდა აიხსნას ასეთი ყოვლად დაუშვებელი მდგომარეობა ციტრუსების მყნობის საქმეში? მით რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობაში მყნობა თვით დინებაზეა მინდობილი, ჭარბობს ზოგადი ლაპარაკი და თავის მართლება მით, თითქოს საძირეები აკლიათ, მყნობელთა კადრების სიმცირეს განიცდიან და სხვ.

მაგრამ რით იმართლებს თავს მაგალითად გონიოს ლიმონმანდარინის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა, რომელსაც 205 ათასი ძირი ტრიფოლიატას საღი საძირე აქვს, სამყნობი კვირტებიც უხვად მოეპოება, მყნობელთა კადრებიც გააჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა 25 აგვისტოსათვის მასობრივი მყნობა დაწყებული არ ქონდა და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ 20 ივლისიდან უნდა შედგომოდა ამ საქმეს.

რას მოწმობს თუნდაც ის უმსგავსო მდგომარეობა, რომელშიაც არის სანერგეები მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. კვირიკეს საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ა. ჩხაიძე) ხომ რეკორდს ამყარებს სანერგეების მოუვლელობით: არ არის გაკეთებული წყალსაშობი არხები, სანერგე გაშენებულია უხეირო ადგილას, შიგნიდან წყალი დგება და ნერგები დაღუპვის პირას არის მისული.

ასეთივე მდგომარეობაშია სანერგეები ჩაქვის საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობა „განთიადში“. სანერგეები დაფარულია სარეველა ბალახით; არ ჩაუტარებიათ მეორე და მეოთხე წამლობა.

მოლოტოვის, კალინინის, აჭარ-ცაკის სახელობის კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობა გლეხის გამარჯვებაში ტერასები უკვე ჩამორეცხილია წვიმისაგან, სანერგეებში დაგუბებულია წყალი. მთელ რიგ სანერგეებში შეურჩეველი ნერგებია დარგული.

* ❋ *

ზემო მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ მიწსახკომი, რაიმიწგანები, სამანქანო-სატრაქტორო სადგური და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები არ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას და კონტროლს ციტრუსების სამუშაოთა მიმდინარეობას.



იტალიური ლიმონი — სოტინე

საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა გამოიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები და მისცა ადგილებს დირექტივები, მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საჭიროა ამ დირექტივების საფუძველზე მუშაობის დაუყოვნებლივ გარდაქმნა და ციტრუსების ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორება.

გ. გიორგაძე.

საქ. პროფსაბჭოს მე-4 პლენუმი

ამხ. ნ. გ. შვერნიკის მოხსენება

5 სექტემბერს შრომის სასახლეში გაიხსნა საქ. პროფსაბჭოს მე-4 პლენუმი. პროფკავშირთა გარდაქმნის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. გ. **შვერნიკმა**, რომელსაც ტაშით შეხვდენ.

მოხსენების დასაწყისში ამხ. შვერნიკი ჩერდება იმ ამოცანებზე, რომლებიც დააყენა პარტიის მე-17 ყრილობამ მეორე ხუთწლედში და იმ როლზე, რომელიც პროფკავშირებმა უნდა ითამაშონ ამ ამოცანების გადაჭრაში.

პროფკავშირები უნდა გახდენ უფრო მოქნილნი, უფრო დიფერენცირებულად უნდა მიუდგენ ცალკე დარგების მუშათა მომსახურებას, უფრო კონკრეტული უნდა გახადონ მუშაობა, მთლიანად განახორციელონ სოცდაზღვევის დარგში მათზე დაკისრებული გადაცემული ფუნქციები, მოაწყონ კონტროლი და შრომის დაცვა.

საჭიროა პროფკავშირების განმსხვილება. პროფკავშირების გარდაქმნა უნდა წარმოებდეს დარგობრივი და ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. იმ 47 პროფკავშირიდან, რომლებიც ამჟამად გვაქვს, განზრახულია 154 კავშირის შექმნა. შავი მეტალურგიის მუშათა კავშირიდან, რომელიც 400 ათასზე მეტ წევრს ითვლის, იქმნება 3 კავშირი — სამხრეთის, აღმოსავლეთი და ცენტრალური რაიონების შავი მეტალურგიის მუშათა კავშირები.

ამხ. შვერნიკი დაწვრილებით ჩერდება მიმდინარე რეორგანიზაციის პოლიტიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე და მიუთითებს, რომ არაა სწორი ზოგიერთი ამხანაგის აზრი, თითქოს მიმდინარე განმსხვილება საბჭოთა პროფესიულ კავშირებს აბრუნებს „ცეხოვშჩინისკენ“.

ამხ. შვერნიკი ხაზს უსვამს, რომ გარდაქმნის ძირითადი ამოცანაა კავშირის გაძლიერება მუშათა მასასთან, ც. კ-ის ძირეულ პროფორგანიზაციებზე ხელმძღვანელობის მეტი კონკრეტიზაცია, საწარმოებისადმი უშუალო დახმარების მოწყობა.

— განმსხვილებას, — ამბობს ამხ. შვერნიკი, — თან უნდა სდევდეს ცენტრ. კომიტეტის მუშაობის მეთოდების ძირფესვიანად გარდაქმნა, მათი, როგორც მუშათა მასების ორგანიზატორების, როლის განმტკიცება; პროფკავშირების მიახლოება უშუალოდ წარმოებასთან, ყურადღების კიდევ უფრო გამახვილება მუშათა საჭიროებებისადმი. ყოველივე ეს მოგვცემს საშუალებას წარმატებით გადავჭრათ პროფკავშირების ამოცანები სოციალისტური უკლასო საზოგადოების აშენებაში.

თვითნება მაღლაკელიძე და სხვათა ამბავი

(ზუგდიდი, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ზუგდიდის რაიაღმასკომის სატყეო სექციის გამგე **სარდიონ მაღლაკელიძე** ახირებული კაცია. ვაი იმის ბრალი, ვისაც მასთან შეკამათება მოუხდება. ყოფილი ბოქაული სარდიონი მტკიცედ ატარებს „ერთმმართველობას“. კაცი ხარ და კრინტი დასძარი! დასწერს ბრძანებას და მოგხსნის თვალის დახამხამებაში.

ივლისის ერთ მშვენიერ დღეს სარდიონთან საწარმოო საკითხებზე შელაპარაკება მოუხდა სოფ. ცაცხვის ხე-ტყის სახერხი ქარხნის დირექტორს ამხანაგ **ხარიტონ კუკავას**.

კუკავა მოითხოვდა ქარხნისათვის დაეტოვებიათ იმდენი თანხა, რომ არც ქარხნის მუშაობა შეჩერებულიყო და არც აღმასკომს ეზარალა. სარდიონი გაკაპასდა, თავისებურად აიმრიზა და დირექტორს მიახალა: „თქვენ იმას დაჯერდით, რასაც გიტოვებთ, იმუშავეთ, თორემ მე ვიცი, რასაც გიზამთ“- ასეთი „ხელმძღვანელობისა“ და კიდევ სხვა მიზეზების გამო ქარხანამ წლის პირველ ნახევარში სირცხვილი ჭამა — გეგმა მხოლოდ 42 პროცენტით შეასრულა.

ივნისსა და ივლისში ქარხანას დროებით მიეცა ნედლეულის დამზადების უფლება. მანამდე ნედლეულს რაიაღმასკომის ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტი აწვდიდა ქარხანას. პუნქტი ფუნქციონალური ორგანიზაცია იყო. მის ხელმძღვანელებს სურდათ მხოლოდ მათ განკარგულებაში ყოფილიყო ქარხანა. ამიტომ „სხვისთვის“ ნედლეულის მიწოდებაზე ცოტას ზრუნავდენ. ეს თავისებურ დაღს ასვამდა ქარხნის მუშაობას.

აღნიშნულ ორ თვეში ქარხანამ ასე თუ ისე გარღვევებს თავი დააღწია და ფინანსიურადაც მოღონიერდა. მაშინ სარდიონმა დრო იხელთა და 24 ათას მანეთამდე წაგლიჯა ქარხანას.

მაღლაკელიძეს არ მოსწონს კუკავა, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევის უნარი აქვს, როდესაც უკანონო მოქმედებას ხედავს. მაღლაკელიძე ცდილობს „შიგნიდან გატეხოს ციხე“, ქარხნის მუშაკები აამხედროს დირექტორის წინააღმდეგ. მერე ვინ არიან ეს მუშაკები? **გიორგი ძაძამია და სამსონ ხვიჩია.** პირველის წარსული ბნელითაა მოცული. მაგრამ ცოტა რამ მაინც იციან. მაგალითად იციან, რომ ძაძამია ყოფილი შავსიელია. თავის დროს სენაკის რაიონიდან იყო გაძევებული ხვიჩია ქარხანაში მოანგარიშედ ითვლება, მაგრამ ამ საქმის არაფერი გაეგება.

ამ ხალხმა იკისრა მაღლაკელიძის ზრახვების რეალიზაცია. მთელი დღეები ჩხრიკეს საქმეები და ბოლოს სექციის მთავარი ბუღალტრის **კუჭავას** რედაქციით შეადგინეს ცილისწამების აქტი. კუკავას დააბრალეს... გაფლანგვა; სარდიონმა ხელთ იგდო თავისი ძმაბიჭების ხელმოწერილი აქტი და მეტი რაღა უნდოდა? კუკავა იმ წამსვე მოხსნა სამსახურიდან და მის ადგილზე დანიშნა თავისი სიყრმის მეგობარი სამსონ ხვიჩია.

პარტრაიკომმა ამის შესახებ არაფერი იცოდა, თუმცა კუკავა მის ნომენკლატურაში შედიოდა.

მოხდა საქმის ახალი და ნამდვილი გამოკვლევა. ჯიუტმა ფაქტებმა „ბუღალტერ“ კუჭავას აიძულეს ახალი და უკვე ნამდვილი აქტი შეედგინა, სადაც აღნიშნა, რომ „კუკავას არავითარი გაფლანგვა არა აქვს აღმასკომიდან ერგება სამი თვის ხელფასი“ და სხვ.

მაგრამ ამას მესამე აქტიც უნდა მოჰყვეს და ეს აქტი უნდა გვიჩვენებდეს ცილისმწამებელთა თაიგულის პასუხისგებაში მიცემას.

ვნახოთ ამავე აღმასკომის **სოფ. ცაცხვის კირის ქარხანა**. აქ დირექტორი და მოადგილე გულხელდაკრეფილი შეჰყურებენ ერთმანეთს. დირექტორს გული წყდება, რომ იგი თვეში სამას მანეთს იღებს, ხოლო მოადგილე **ნესტორ კობახიძე** კი 400 მანეთს. საქმე იმაშია, რომ ნესტორს დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს ლაყბობაში. როდესაც რაიონიდან ჩამოსულ კაცს დაინახავს, შევარდება საწყობში, აურევს კირს და ერთი წუთის განმავლობაში ისე გაიმურება, რომ კაცს ეგონება ბევრი უმუშავია.

აღვნიშნავთ, რომ ამ ქარხანამ პირველი კვარტალის გეგმა 90 პროცენტით შეასრულა, მეორე კვარტალის გეგმა — 59 პროცენტით, ხოლო ივლისის გეგმა 47 პროცენტით. არ შესრულებულა აგვისტოს გეგმაც.

სამაყო მდგომარეობა არც აგურკრამიტის ქარხანას აქვს. აქაც გარღვევა ჩვეულებრივი მოვლენაა.

ზუგდიდის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა ცუდი მუშაობა შემთხვევითი როდია. ეს გამოწვეულია იმით, რომ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ვერ უწევენ მათ საჭირო დახმარებას და ხელმძღვანელობას.

ტერ. ნაროუშვილი.

„არც სხვას აწუხებს, არც თავს იწუხებს“

გორი. სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე მ. **თათარაშვილი**) ბოსლის უქონლობის გამო გასულ წელს ხბოები დაეხოცა. ბოსლის აშენება კი ჯერ არ დაუწყიათ. სოფ. თედოწმინდის კოლმეურნეობაში ამავე მიზეზით მოუკვდათ 9 ღორი, საღორის აშენება კი ჯერ ფიქრადაც არ მოსვლიათ სოფ. ზერტის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე **ზუბიაშვილი**) საკუთარი ბოსელი არა აქვს.

ასეთივე მდგომარეობაა სოფ. კარალეთის, პატარა გარე-ჯვარის შინდისის, ზერბუკის და სხვ. კოლმეურნეობებში.

— თქვენ ალბათ იკითხავთ—რას ფიქრობს გორის რაიმიწგანი განა არ იცის, რომ ზამთარი მოვა და იმ დროისთვის პირუტყვს ბინა უნდა ჰქონდესო?

— რაიმიწგანი თავისთვის არის წყნარად —არც სხვას აწუხებს და არც თავს იწუხებს. მან არც კი იცის რამდენი ბოსელია.

ა. კირცხალია.

რა ხდება რაიონულ მიწგანის ცხვირწინ

გალი. სოფელ ცხიროვალის მეორე კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. [illegible]) 25 აგვისტოსათვის 47,6 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მესამედ მხოლოდ 11,9 ჰექტარი ჰქონდა გათოხნილი (მეოთხე თოხნა არც კი დაუწყია), დანარჩენი პლანტაციები კი სარეველა ბალახით არის გადაფარული და იღუპება. რიგებს შორის ნიადაგს აქ ამუშავებენ კავით, რომელიც ჩაის მცენარეს აფუჭებს.

ეს კოლმეურნეობა რაიონულ ორგანიზაციებიდან 100 ნაბიჯით არის დაშორებული. რაიკომის, რაიაღმასკომის, რაიმიწგანის, სამანქანო - სატრაქტორო სადგურის ხელმძღვანელები დღეში რამდენჯერმე გაუვლიან გვერდით ამ კოლმეურნეობის პლანტაციებს, ხედავენ მათ მდგომარეობას, მაგრამ ერთხელაც არ უფიქრიათ მისულიყვენ კოლმეურნეობაში გაეგოთ ჩამორჩენის მიზეზები, დახმარებოდენ კოლმეურნეობას მდგომარეობის გამოსწორებაში.

დ. ჩხარტიშვილი.

ერ. გორდელაძე

განათ. სახ. კომისრის მოადგილე

კულტურული მშენებლობის ამოცანები*)

7—●

ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო სახკომსაბჭოს გადაწყვეტილება სამოქალაქო ისტორიის და გეოგრაფიის სწავლების შესახებ სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ამ დისციპლინების აშკარა არადამაკმაყოფილებელ სწავლებას. ეს გადაწყვეტილება უფრო მეტად შეეხება ჩვენ, საბჭოთა საქართველოს სკოლებს.

ისტორიის სწავლების ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებმა გამოიმუშაონ მარქსისტულ-ლენინური შეხედულება საზოგადოებრივ მოვლენებზე, გაამდიდრონ თავიანთი ცოდნა ისტორიული ამბების, ცოცხალი ფაქტების, მომქმედ პირთა, და სხვ. ცოდნით. არა მარქსისტულ ფორმულების სქემატური გაზეპირებით, არამედ ისტორიული ფაქტების, უმნიშვნელოვანესი მოვლენების, გამოჩენილი მოღვაწეების, მოქმედებათა ადგილისა და თარიღის შესწავლის გზით მოსწავლემ უნდა მიაღწიოს ისტორიის მარქსისტულ გაგებას.

რასაკვირველია, უკეთ არც გეოგრაფიის სწავლებაა დაყენებული. გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში გაცილებით მეტია არევ-დარევა, ვიდრე სხვა საგანში იგივეა პროგრამებში და უფრო ცუდი მდგომარეობაა გეოგრაფიის სწავლების მეთოდებში. ყოველივე ამან, გეოგრაფიის კვალიფიციურ პედაგოგების უყოლობასთან ერთად, შექმნა ის აუტანელი მდგომარეობა, „რომ მოსწავლეები სკოლიდან ისე გამოდიან, რომ ხშირად გეოგრაფიის ელემენტარული ცოდნაც კი არ აქვთ“.

რა პრაქტიკული ამოცანები დგას ჩვენს წინაშე ამჟამად? ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახალხო განათლების ფრონტის თვითეულმა მუშაკმა ღრმად შეიგნოს პარტიისა და მთავრობის ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები და გამოიტანოს იქიდან მისთვის საჭირო დასკვნები. ეს ერთი. მეორე უნდა გაითვალისწინონ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო სახკომსაბჭოს მითითებები და ეხლავე შეუდგენ მეთოდდამუშავებათა შედგენას გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებელთა დასახმარებლად, ადგილებზე უნდა გადაისინჯოს ამ დისციპლინათა მასწავლებლების შემადგენლობა. მისი უფრო კვალიფიციური ძალებით შევსების მიზნით, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს სამეცნიერო სახალხო ლიტერატურის შედგენა და გამოცემა ისტორიასა და გეოგრაფიაში.

ამ მხრივ ჩვენ უნდა დაგვეხმარონ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ძალები და მწერლები. კატეგორიულად მოვითხოვთ განათლების განყოფილებათა გამგეებისა და სკოლების დირექტორებისაგან უზრუნველყონ ყველა საშუალო სკოლა გეოგრაფიული კაბინეტებით.

მესამე—ჩვენ უნდა ჩავატაროთ ღონისძიებათა მთელი სისტემა სახელმწიფო უნივერსიტეტში და პედინსტიტუტში—ისტორიის დამოუკიდებელი ფაკულტეტის გამოყოფა, ისტორიკოსების კონტინგენტის გადიდება და სხვ. და ბოლოს ახლავე უნდა განვსაზღვროთ ჩვენი მონაწილეობა სახელმძღვანელოების შედგენის საქმეში და აგრეთვე დავსახოთ გეოგრაფიისა და ისტორიის სახელმძღვანელოთა გადათარგმნის და დროზე გამოცემის გეგმა.

8—●

ჩამორჩენილობისა და უკულტურობის საერთო ფონზე ნაცუმცირესობათა რაიონები წარმოადგენდენ წერა-კითხვის უცოდინარობის მთლიან მასას, რომელიც სამარცხვინოდ ჰყავდათ მიგდებული [illegible] ბეგებს, ხანებს, თვითმპყრობელობის და შემდეგ კონტრრევოლუციური მენშევიკების მთავრობის ყველა არამზადას.

პროლეტარიატის გამარჯვების საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლენინური ნაციონალური პოლიტიკის თანმიმდევრობით გატარების შედეგად, ის რაიონები მტკიცედ დაადგნენ ეკონომიური აღორძინების და სოციალისტური კულტურის მძაფრი ზრდის გზას.

განვლილ პერიოდში ჩატარებულია დიდი მუშაობა, ნაცუმცირესობათა რაიონები დაფარულია დაწყებითი და საშუალო სკოლების მჭიდრო ქსელით. თვითეულ რაიონში ითვლება 50—60 სკოლა. ყველა რაიონში შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლა დაწყებითი სკოლის ფარგლებში. აშენებულია ასეული სასოფლო სამკითხველოები, ათეული კლუბები და სკოლის ჩასაკამდე აღზრდის დაწესებულებები, და 1934—35 სასწავლო წლის ძირითადად მოსპობილი იქნება წერა-კითხვის უცოდინარობა.

ნაცუმცირესობათა 11 რაიონში მიმდინარე წლის სახალხო განათლებაზე იხარჯება 9 მილიონ მანეთზე მეტი, ე. ი. საშუალოდ ნაცუმცირესობათა რაიონები მიიღებენ 60—70 პროცენტით მეტს, ვიდრე ცალკე აღებული სხვა რომელიმე რაიონი. ამ პოლიტიკის აზრი იმაშია, რომ რაც შეიძლება მალე და გადაჭრით ავამაღლოთ ნაცუმცირესობათა რაიონების კულტურული დონე საქართველოს მოწინავე რაიონების დონემდე.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხ. ბერიას უდიდესი ყურადღება და კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგად უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ რაიონებში მოხდა გადამწყვეტი გარდატეხა მუშაობის ყველა დარგში, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა კულტურულ ფრონტზედაც.

აქედან არ უნდა გამოვიტანოთ შემცდარი დასკვნა, ვითომ ჩვენ ყველაფერი წესრიგზე გვაქვს, ყველაფერი მიღწეულია და შეგვიძლია ანცხრომას მივეცეთ.

უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურული მშენებლობის მხრივ ნაცუმცირესობათა რაიონებში ჩამორჩენა ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი. მთელ რიგ რაიონებში—ადიგენის, ასპინძის, ბორჩალოს და სხვ.—სკოლებში ჩაბმულ სასკოლო ჩასაკის ბავშვების რაოდენობა 70-დან 80 პროცენტამდე ქანაობს. სამოსწავლო წლის განმავლობაში იმჩნევა მოწაფეთა საგრძნობი რაოდენობის ჩამოშორება. ახალ სასწავლო წლიდან უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ბავშვები ასი პროცენტით იყვნენ ჩაბმული დაწყებითი სკოლების ფარგლებში.

რადგაც არ უნდა დაგვეჭდეს შეცადინეობა, სკოლებში უნდა დავიწყოთ 15 სექტემბერს და სასწავლო წელი ორგანიზებულად დავამთავროთ მთავრობისა და პარტიის მიერ დაწესებულ ვადაში.

სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა ჩამოშორება ან სრულიად უნდა აღვკვეთოთ ან მინიმუმამდე შევამციროთ.

მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგიური კადრები საგრძნობლად გაიზარდა, ჩვენ ისევ განვიცდით ბერძენ, თურქ, ქურთ, ასირიელ და ოს პედაგოგთა კადრების მწვავე ნაკლებობას.

საჭიროა, ჯერ ერთი, სწორად გამოვიყენოთ არსებული კადრები, შევქმნათ მათ მუშაობის ნორმალური პირობები, ყურადღებით მოვეპყროთ; მეორე განათლების განყოფილებებმა სისტემატიური მუშაობა უნდა აწარმოონ პედაგოგების კვალიფიკაციის და პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, რაც ამჟამად არსად არ წარმოებს; მესამე განათლების სახალხო კომისარიატმა უნდა გააფართოვოს თავისი მუშაობა არსებული კადრების გადასამზადებლად და ახალ სასწავლო წლიდან ერთი-ორად გაადიდოს პედტექნიკუმის პირველი კურსის კონტიგენტი, რათა უახლოეს ორ-სამ წელიწადში საბოლოოდ გადიჭრას კადრების პრობლემა ნაცუმცირესობათა რაიონებისათვის.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ამ რაიონებში მიმდინარე წელს უნდა დაგვემთავრებინა. ჩვენი სუსტი მუშაობისა და რაიონულ ორგანიზაციების არასაკმაო მუშაობის გამო ამ ამოცანას ჩვენ ვერ ვასრულებთ და სამხარეო კომიტეტი იძულებული გახდა ვადა 1935 წლის შუამდე გაეგრძელებია. მუშაობა ეხლავე უნდა გაიშალოს იმ ანგარიშით, რომ საჭირო არ გახდეს ვადის არავითარი გადადება.

9—●

ჩვენი სკოლები წლითი-წლობით უფრო და უფრო უმჯობესდებიან, იცვლიან თავისი მუშაობის ფორმასა და შინაარს, დგებიან უფრო მაღალ დონეზე. საჭიროა, რომ მთელი სასკოლო მუშაობა და მოწაფეთა თვითმმართველობის მუშაობა შეესაბამებოდეს სკოლის ახალ ამოცანებს. საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის 5 სექტემბრის დადგენილებაში წინადადებას აძლევს.

„ბავშთა თვითმმართველობის მუშაობა სკოლაში ისე იქნეს დაყენებული, რომ იგი, უმთავრესად, მიმართული იქნეს სწავლების ხარისხის ამაღლებისკენ და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისკენ სკოლაში“.

განვლილი წლების განმავლობაში ბავშთა თვითმმართველობათა მუშაობის და სკოლის გარეშე მუშაობის დაყენების მხრივ მოპოვებულია გარკვეული წარმატებები. ბავშთა თვითმმართველობები უსათუოდ უწყობდენ ხელს სწავლების ხარისხის ამაღლებას და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას.

მაგრამ არ შეიძლება ხელი დავაფაროთ იმას, რომ მთელ რიგ სკოლებში ის ორგანიზაციები ან უმოქმედობას იჩენდენ ან თავის მუშაობაში საგრძნობ დამახინჯებებს უშვებდენ. არ შეიძლება დავმალოთ, რომ მთელ რიგ სკოლებში დისციპლინა ბავშთა შორის დაბალ დონეზეა, რომ ამ სკოლებში ადგილი აქვს მოწაფეთა არა ჯანსაღ, აშკარა ხულიგნურ საქციელს.

ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ სკოლის გარეშე მუშაობის გასაუმჯობესებლად და მოწაფეთა შორის შეგნებული დისციპლინის დასანერგად.

1935 წლიდან აუცილებლად უნდა შემოვიღოთ კლასის დამრიგებლობა, რაც ეჭვი არაა, დიდ როლს ითამაშებს დისციპლინის განმტკიცებაში. უნდა შემოვიღოთ აგრეთვე მოწაფეთა მოწმობების ერთიანი სისტემა. მოწმობა მოწაფეს ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს. ჩვენ უნდა პედაგოგი ვალდებული გავხადოთ, რომ მოსწავლეებს თვალყური ადევნოს არა მარტო სკოლაში, არამედ სკოლის გარეთაც, ქუჩაშიც, რომ წესრიგის დარღვევის და მოწაფის ცუდი ქცევის დროს პედაგოგმა იგი მაშინვე შეაჩეროს, გამოკითხოს ვინაობა და აცნობოს ამის შესახებ სათანადო სკოლას ან მშობლებს.

ამ ბოლო დროს სკოლის მატერიალური ბაზა საგრძნობლად განმტკიცდა და დღეს ჩვენ გაცილებით უფრო უკეთესი სურათი გვაქვს, ვიდრე ამ 2-3 წლის წინათ იყო. მაგრამ ამოცანა ჯერ კიდევ როდია გადაჭრილი.

ჩვენში ჯერ კიდევ მრავალი სკოლა მოთავსებულია ნაქირავებ შენობებში. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ნაცუმცირესობათა რაიონებზე. ბევრ სკოლას ჯერ კიდევ არ მოეპოება კაბინეტები, სამუშაო ოთახები, სახელოსნოები და ცოტად თუ ბევრად რიგიანი მოწყობილობა.

რათა არსებულ სკოლებში შევქმნათ მუშაობის სრულიად ნორმალური პირობები და განვახორციელოთ საყოველთაო სავალდებულო სწავლება არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში, ჩვენ დაახლოებით შემდეგი ხარჯები უნდა გავწიოთ: თუ ვიანგარიშებთ, რომ ყველა არსებული საკლასო ოთახი მეცადინეობისათვის სავსებით გამოსადეგია (რაც ძალიან საეჭვოა), მეორე ხუთწლედში ჩვენ მაინც უნდა ავაშენოთ სულ ცოტა 5 მილიონი კუბიკური მეტრი სასკოლო ოთახი. ამავე პერიოდში ჩვენ უნდა დავამზადოთ 150 ათასი მერხი, 20 ათასი საკლასო დაფა, 20 ათასი შკაფი, მაგიდები, სკამები და სხვ., რაც დაახლოებით 15 მილიონ მანეთს მოითხოვს.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ 2.500 სამუშაო ოთახი, ამდენივე ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის და ისტორიის კაბინეტები, აგრეთვე დაახლოებით 2.000 სახელოსნო. ყოველივე ეს 150 მილიონ მანეთზე მეტს მოითხოვს.

მიმდინარე წელს სკოლების და ტექნიკუმების მშენებლობაზე მარტო განსახკომის ხაზით დაიხარჯება დაახლოებით 14 მილიონი მანეთი და მოსახლეობის სახსრები 4 მილიონ მანეთამდე, სულ 18 მილიონი მანეთი, იმ დროს, როცა გასულ წელს ამავე საჭიროებისათვის 7 მილიონი მანეთი დაიხარჯა. წელს მშენებლობის პროცესში უკვე იმყოფება 13 პედტექნიკუმი, 10 საშუალო სკოლა, 137 არასრული საშუალო სკოლა, 147 დაწყებითი სკოლა და 5 საბავშვო ბაღი.

ა) ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, რაიონული ორგანიზაციებისაგან მოვითხოვთ, რომ მათ სავსებით და თავისდროზე აითვისონ ის სახსრები, რომლებიც გათვალისწინებულია სკოლების მშენებლობისათვის.

სკოლების გამგეებმა და დირექტორებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს, როგორც ეს საქმის ნამდვილ ბატონპატრონთ შეეფერებათ, სკოლის წესიერი და რიგიანი მოვლა-შენახვა. იმტვრევა კარები, სახელურები, კლიტეები, ბინები და თითქოს აქ არაფერია, ასეც უნდა იყოსო.

სკოლის დირექტორი უნდა იყოს არა მარტო სწავლების ორგანიზატორი, არამედ კარგი სამეურნეო მუშაკიც, ვინაიდან ჩვენს პირობებში სკოლა — ეს მთელი მეურნეობაა, რომელიც მოითხოვს ყოველდღიურ მოვლას და მზრუნველობას.

სკოლების მშენებლობას და რემონტს თავს ვერ გავართმევთ, თუ ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა არ მიიღო მოსახლეობამ მშრომელთა მთელი მასის მატერიალური კეთილდღეობის ზრდა უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის დამატებითი სახსრების მოსაზიდად სკოლის სხვადასხვა საჭიროებისათვის— საჭიროა ამ შესაძლებლობათა მოხერხებულად და მაქსიმალურად გამოყენება.

შემდეგ უნდა მივაღწიოთ ადგილობრივი საშენი მასალის მაქსიმალურად გამოყენებას. ჩვენში მოიპოება მთელი რიგი ისეთი რაიონები, სადაც შესაძლებელია სკოლების აშენება მთლიანად ადგილობრივი მასალისაგან. საჭიროა დავეხმაროთ მათ მხოლოდ ბინის და ლურსმნის მიწოდებით. მაგრამ ამას რატომღაც არ ჩადიან.

გადაჭრით უნდა ვარღვიოთ დღემდეც გამეფებული კუსტარულობა სკოლების მშენებლობაში, როცა სკოლებს აშენებდენ უსისტემოდ, უგეგმოდ და ტექნიკური ზედამხედველობის გარეშე.

ჩვენ შემდეგში ვერ შევურიგდებით ისეთ მდგომარეობას, როცა ადგილობრივი ორგანიზაციები, დახმარების ნაცვლად, ხშირად ართმევენ სკოლებს თავისი სადგომებს. ასე მოხდა ბაშკიჩეთის რაიონში, სადაც რაიაღმასკომის თავმჯდომარემ რუსულ სკოლას წაართვა ბინა და საცხოვრებლად გადასცა იგი თავის თანამშრომლებს. ბორჩალოს რაიონის სოფელ ჯანდარაში სკოლის შენობა გადასცეს სამანქანო - სატრაქტორო სადგურს, რის გამო სკოლა იძულებული გახდა შეეწყვიტა მუშაობა მთელი ორი თვის განმავლობაში. ასეთი ამბავი სხვა რაიონებშიც ხდება.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება იხ. „კომუნისტი“ № 207

სურათზე: არტელის უფროსი ამხ. ოგანეზოვი ამოწმებს გამოშვებული საბავშო ფეხსაცმლის ხარისხს.

საბავშო ფეხსაცმლების გამოშვება

სასწავლო წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ფეხსაცმლების ფაბრიკებს გააძლიერონ საბავშო ასორტიმენტის ფეხსაცმლების გამოშვება და უზრუნველყონ ამ მხრივ დასახული საწარმოო გეგმების შესრულება.

ამავე დროს სარეწაო კოოპერაციის არტელებს დავალება აქვთ მიცემული, რომ მათაც გააძლიერონ საბავშო ფეხსაცმლების გამოშვება.

არტელებში საბავშო ფეხსაცმლების გამოშვების მხრივ ყველას გაუსწრო 26 კომუნართა სახ. არტელმა, რომელმაც მესამე კვარტალში 25 პროცენტზე მეტი გადაჭარბებით შეასრულა გეგმა. ნაცვლად 2.535 წყვილი ფეხსაცმლისა, მესამე კვარტალში არტელმა გამოუშვა 3.532 წყვილი ფეხსაცმელი.

არტელის მიერ გამოშვებული საბავშო ფეხსაცმელი, შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა მაღალი ხარისხის.

საბავშო ფეხსაცმლები ბაზარზე უნდა იქნეს გამოშვებული სექტემბრის ბოლო რიცხვებამდე.

სიგნალები სოფლიდან

„ბუხ—გაეცით“

(გურჯაანის რაიონი)

— რაღა „მმართველი“ ვარ, ასე იოლად თუ დავემორჩილე რაიფინგანს, ის ხომ ჩემი ქვეშევრდომია (!) მე უშუალოდ „კრაევოი კანტორას“ ვემორჩილები, ვის რა ესაქმება, აგრე მსურს და აგრეც ვაკეთებო“. ხშირად გაიგონებთ ამ მარგალიტებს სახბანკის გურჯაანის განყოფილების მმართველი ამხ. სიმონ სიმონიშვილისაგან.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველებს მოქალაქე სიმონიშვილის „საქმენი საგმირონი“ და ფარდა ავხადოთ მის ბნელ მოქმედებას.

არსებობს ზემდგომ ორგანოების გარკვეული დირექტივა იმის შესახებ, რომ სახბანკის რაიონული განყოფილებები უყოყმანოდ დაემორჩილონ რაიფინგანყოფილებებს უკანასკნელთა კუთვნილი თანხების ოპერაციის დროს ამ დირექტივების მიხედვით ჯერ კიდევ 1933 წლის 15 მაისს რაიფინგანის განკარგულებით № 1038 და 1590 საქბაღოსტანკავშირის გურჯაანის განყოფილებისთვის სახბანკის რაიონულ განყოფილებას უნდა ჩამოეწერა 3.932 მან. და 26 კაპ. წელიწადი და სამი თვე გავიდა ამ განკარგულების შემდეგ, მაგრამ იგი დღესაც არ არის შესრულებული. რატომ? „ასე სურს და ასე აკეთებს“ სიმონიშვილი. ჩავყვეთ ქვევით:

ა.-წ. 29 მაისს სახბანკის გურჯაანის რაიგანყოფილებას ფინგანის განკარგულებით № 644-თ რაიკოოპკავშირისათვის უნდა ჩამოეწერა 6.926 მანეთი. ეს განკარგულება შესრულებული იქნა მხოლოდ პირველ აგვისტოს რაიაღმასკომის თავ-რე ამხ. ბეჟანიშვილის უშუალო ჩარევის შემდეგ.

7 აგვისტოს, რაიფინგანის მიმართვა №. 892-თ 16 სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის სახბანკს უნდა ჩამოეწერა 48.000 მან. ბანკის მმართველმა სიმონიშვილმა მომართვის შესრულება შესაფერ ორგანიზაციების ნება-სურვილს მიანდო.

სახბანკის რაიონული განყოფილება ვალდებულია ყოველდღიურად წარუდგინოს ზუსტი ცნობები რაიფინგანს მათ აგარიშზე ქონებული თანხის რაოდენობის შესახებ. სახბანკი არ ასრულებს ამ ვალდებულებას. მართალია, უკანასკნელ ხანებში დღიურ ცნობებს ადგენს, მაგრამ ცნობები სწორი არაა, რითაც არევდარევა შეაქვს რაიფინგანის მუშაობაში და კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს კლიენტებს შორის. მაგალითად, 21 აგვისტოს მიწგანის ვეტპრაქტიკანტს ქ. ხანგულიანს ფინგანმა გამოუწერა კუთვნილი ხელფასი მისი საწარმოო პრაქტიკის დამთავრების გამო განთავისუფლებასთან დაკავშირებით; მიუხედავათ იმისა, რომ ფინგანის ანგარიშზე საკმაო თანხები ირიცხებოდა, სიმონიშვილმა უარი განუცხადა ხანგულიანს 17 აგვისტოს ჩუმლაყის 4 წლედის მასწავლებელს თამარა ვახვახიშვილს რაიფინგანმა გამოუწერა აგვისტოს თვის ხელფასი 202 მანეთი მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა ხელფასის ანგარიშზე 1½ 433 მანეთი ირიცხებოდა. სახბანკის მმართველმა სიმონიშვილმა ვახვახიშვილი უარით გაისტუმრა. ასეთივე ბედი ეწია გურჯაანის 4 წლედის მასწავლებელს ნადია მახოშვილს, რომელსაც ათი დღე სიარული დასჭირდა გამოწერილ კუთვნილ ხელფასის მისაღებად.

მაგრამ ყოველთვის როდია სიმონიშვილი ასე გულქვა; ის ხშირად მოდის კარგ გუნებაზე. და ნეტავ იმას, ვინც ამ დროს შეხვდება ხელფასის მისაღები ასიგნობით, — მზად არის წარწერა: „ბუხ—გაეცით“—იმის მიუხედავად, ანგარიშზე ფული ირიცხება, თუ არა. აი ფაქტი:

25 ივნისს რაიფინგანის გამგის მოადგილე ამხ. მელიქა ავაქოვი გამოცხადდა სახბანკის განყოფილებაში მასწავლებელთა ხელფასის ანგარიშზე ჩარიცხულ თანხის გამოსარკვევად. ავაქოვის შეკითხვაზე — „რამდენი მანეთი ირიცხება მასწავლებელთა ხელფასის ანგარიშზე — 1½ სიმონიშვილმა მოჭრით უპასუხა: „არცერთი კაპეიკი“, მაგრამ იმავე დღის სრულ 12 საათზე ამხ. ავაქოვს შემდეგი სახის მოკრძალებითი ბარათი მოდის სიმონიშვილისაგან: „ამხ. მელიქ! ამ ქალს (!) აქვს მოწერილობა, რომ გავცეთ ხელფასი № 1½-თ არის ნაშთი 2.000 მანეთის ფარგლებში ისე, რომ გამოუწერე, რომ გავცეთ. ს. სიმონიშვილი“.

უსათუოდ გასაკვირია ასე მოულოდნელად, საიდან გაჩნდა 2000 მან.— მით უმეტეს, რომ 25 ივნის რაიფინგანს სახბანკში ამ ანგარიშზე არც ერთი მანეთი შემოსავალი არ გაუფორმებია.

სიმონიშვილი გაუსწორებელი ბიუროკრატი და კომბინატორია. ის ხშირად ასეთი სიტყვით ისტუმრებს კლიენტებს:

— „ფული არ მაქვს.

— დღეს არ არის, ხვალ მოდი.

—ბევრს ნუ ლაპარაკობთ.

— ნუ მაწუხებთ“ და სხვ.

სახბანკის განყოფილებაში ხშირად მოდის ფაქტურები სხვადასხვა ორგანიზაციების სახელზე (რაიკოოპკავშირი, საქვაჭრობა) გამოსახსნელად ამას წინეთ გურჯაანის საქვაჭრობას მოუვიდა 20.000 მანეთის ფაქტურა. საჭირო იყო 20.000 მანეთის სასწრაფოდ გადარიცხვა; როცა საქვაჭრობის მმართველ ამხ. ლ. ყაზაროვმა მოსთხოვა სიმონიშვილს აღნიშნული თანხის გადარიცხვა, მან განუცხადა: „თუ ხეირი იქნება, გადავურიცხავო“. და სანამ გალეტი და შაქარი არ მიერთვა სიმონიშვილს, მანამდე არ გადაურიცხავს.

ჩვენ აქ ვსვამთ წერტილს. ვფიქრობ, დასახელებული ფაქტებიც საკმარისია სიმონიშვილის ფიზიონომიის გამოსააშკარავებლად.

თავისი „ერთგული დამსახურებისათვის“ ა.-წ. მარტში სიმონიშვილს გურჯაანის პარტრაიკომმა და რაიაღმასკომმა გამოუცხადა სასტიკი საყვედური, მაგრამ ამ ღონისძიებამ არ იმოქმედა მასზე.

ვ. ჭოჭუა, ვ. ჩიქოვანი. ა. გეციაშვილი.

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის 26 კომ. სახ. რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 8 სექტემბერს, საღ. 6 საათზე რაიკომის შენობაში (კახეთის ქ. № 1) შესდგება რაიკომის

მე-6 პლენუმი

შემდეგი დღისწესრიგით:

1. პოლიტსკოლების გამოშვების შედეგები და მზადება ახალი სასწავლო წლისათვის (მომხს. ამხ. ბარქაია).

რაიკომის პლენუმის წევრებისა და კანდიდატების, პარტკომების მდივნები, პარტორგანიზატორებისა და პროპაგან-დისტების დასწრება სავალდებულოა.

დავიცვათ კოოპერატიული ქონება მტაცებლებისაგან

მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი და ამხ. სტალინის ისტორიული სიტყვა საფუძვლად დაედო სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის ახალ ამოცანათა მიხედვით გადაჭრით გარდაქმნისა და საბჭოთა ნამდვილი კულტურული ვაჭრობის გაშლისათვის გაჩაღებულ ბრძოლას.

სწორედ აქედან გამომდინარეობს გადაუდებელი საბრძოლო ამოცანა: სახელმწიფო, კოოპერატიული და საკოლმეურნეო ვაჭრობის გაფართოება, დაუნდობელი ბრძოლა კოოპერ. ქონების მტაცებელ, გადამყიდველ სპეკულანტების წინააღმდეგ და სხვ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო კოოპერატიულ ორგანიზაციებს საბჭოთა კულტურული ვაჭრობის მეთოდების დანერგვისა, სავაჭრო ქსელის გაფართოებისა და საქონელბრუნვის გადიდების საქმეში უთუოდ აქვთ მეტად თვალსაჩინო მიღწევები. საქართველოში საქონელბრუნვა (საზკვების გამოკლებით) სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ხაზით გაიზარდა 342.500 ათასი მანეთიდან 1930 წელში 970352 ათასი მანეთამდე 1933 წ. თვალსაჩინოდ გაფართოვდა სავაჭრო მაღაზიების ქსელი, თუ 1930 წლის ბოლოსათვის იყო 3.638 მომქმედი სავაჭრო, 1933 წლის ბოლოსათვის იყო 6.409. გაიხსნა 50 რთული ასორტიმენტით მოვაჭრე სარაიონო და 12 კულტმაღაზია. ახლად შეიქმნა კოოპერატივის სარაიონთაშორისო 9 ბაზა და სხვ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც საქ. სამომხმარებლო კოოპერაციის, ისე სახვაჭრობის მუშაობაში ამ მხრივ ჯერ კიდევ მთელი რიგი დეფექტები არსებობს. უდავოა, რომ დღევანდელ პირობებში მეტად თვალსაჩინო მიღწევების მიუხედავათ საქონელბრუნვის ახლანდელ მდგომარეობას არ შეუძლია ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ამიტომ ამოცანა ისაა, რომ მეტად გავაჩაღოთ საბჭოთა ვაჭრობა, ჩავაბათ ამ საქმეში ადგილობრივი მრეწველობა, გავაძლიეროთ საკოლმეურნეო-გლეხური ვაჭრობა და საბჭოთა ვაჭრობის აღმავლობის დარგში ახალ გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიოთ“ (სტალინი).

საქ. კპ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის მეორე პლენუმმა მთელი სიცხადით აღნიშნა ის მნიშვნელოვანი დეფექტები, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. ეს დეფექტები იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ ყურადღება არ ექცევა სავაჭრო ქსელში საქონლის სწორად განაწილებას, საქონლის ბრუნვა ხდება მეტად ნელა და ის მომხმარებლამდე ვერ აღწევს თავის დროზე, ადგილი აქვს ფასების საბჭოთა პოლიტიკის უხეშ დამახინჯებას, სავაჭრო ქსელი უზრუნველყოფილი არ არის კვალიფიციური მუშაკებით და, რაც მთავარია „სავაჭრო ქსელში ადგილი აქვს მტაცებლობას და გაფლანგვებს. ვაჭრობის ხაზით მომუშავე კომუნისტების არასაკმაო რევოლუციური სიფხიზლის გამო სავაჭრო ორგანიზაციებში, მაღაზიებში, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებაში ხშირად მიძვრებიან პირდაპირი მტრები, თეთრგვარდიელები და კულაკები, რომლებსაც ეძლევათ საშუალება აწარმოონ მავნებლობა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს უბანზე—საქონლის ბრუნვაში“ —(ა.-კ. სამხარეო კომ. პლენუმის გადაწყვეტ.).

სწორედ ამის შედეგად სავაჭრო-კოოპერატიული ორგანიზაციები საგრძნობლად დაზარალდენ ფინანსიურად და რამდენიმე ასი ათასი მანეთი მოაკლდა მათ სავაჭრო საბრუნავ თანხას. მარტო 1933 წელში სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით საქართველოში გაფლანგვის 1980 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, გაფლანგული კი არის 2.980.400 მანეთი მათ შორის სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებათა ხაზით გაფლანგვის შემთხვევა იყო 909, გატაცებულია 1.531.000 მანეთი.

თუ ავიღებთ ცალკე კონკრეტულ მაგალითებს, არსებული მდგომარეობა უფრო აღმაშფოთებელ სურათს იძლევა. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში სავაჭრო ქსელმა უსისტემო მუშაობითა და კოოპერატიული დოვლათის დაცვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით 1933 წელი 205.374 მანეთის ზარალით დაამთავრა.

რატომ ხდება ეს, რა არის ამის მთავარი მიზეზი? ის, რომ ზოგიერთ ადგილებზე ჩვენი კლასობრივი მტრები, ქურდბაცაცები და მტაცებლები ნიღაბის ქვეშ მოკალათებული არიან სავაჭრო ძირეულ გადამწყვეტ რგოლებში და ხელაღებით ანადგურებენ კოოპერატივის დოვლათს და მით ასუსტებენ საქონელბრუნვის გაშლის საქმეს, ხოლო კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციების აპარატები და სამოსამართლო და პროკურატურის ორგანოები ხშირად არ ღებულობდენ მათ წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს რევოლუციური კანონიერების მთელი სისასტიკით.

საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, „რომ რესპუბლიკის პროკურორების მიერ არ სრულდება საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხ. კომიტეტის ბიუროს დადგენილება ვაჭრობაში გაფლანგვების და მტაცებლობის საქმეების ერთი თვის ვადაში გარჩევის შესახებ“.

აი, სწორედ ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტები, მაგალითად: ტყიბულის რაიგამომძიებელს, რომელსაც ცეკავშირმა 1934 წლის 3 მარტს გადასცა საქ. კულტსაქონლის ტყიბულის მაღაზიის მოლარე თ. დუმბაძის საქმე № 2 მის მიერ 9.200 მანეთი და 88 კ. გაფლანგვის შესახებ, გამოძიება დღემდე არ დაუსრულებია.

კიდევ მეტი, რესპუბლიკის პროკურატურის უფროსს გამომძიებელ ცვარიანის სახელზე 1933 წელში (1 ნოემბერს) გადაგზავნილი საქმე № 77, მაღაზია № 14 ყოფილ გამგე არ. არუთინოვის მიერ 2.224 მანეთის გაფლანგვის შესახებ, დღემდე უშედეგოდაა.

ცეკავშირმა 1932 წელს 2 მაისს რესპუბლიკის პროკურატურას გადაუგზავნა „საქხორცთევზი“-ს მაღაზიის ყოფ. გამგე ი. სამხარაძის საქმე 2.750 მანეთის გაფლანგვის შესახებ, მაგრამ საქმის დასრულებას 1934 წელშიაც არ უჩანს ბოლო.

ამრიგად, 1930 წელს მხოლოდ ცეკავშირის მიერ პროკურატურას და საგამომძიებლო ორგანოებისათვის გადაცემულ საქმეებიდან, რომელიც ეხება კოოპერატიული ქონების მტაცებლობას, დღემდე უშედეგოდ და დაუსრულებლად ჭიანურდება 102 საქმე.

ეს და სხვა მთელი რიგი ფაქტები ნათლად ადასტურებენ, რომ კოოპერატიული ამ წმინდათა წმინდა ქონების—დოვლათის დაცვისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს.

პარტიულმა, საბჭოთა კოოპერატიულმა, პროფესიულმა და სამომხმარებლო ორგანოებმა მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ. საჭიროა რევოლუციური კანონიერების მთელი სისასტიკით დაუნდობლად დავსაჯოთ სოციალისტური ქონების მტრები, კოოპერატიული ქონების მტაცებლები და გამნიავებლები.

ამასთანავე ფართოდ უნდა გაიშალოს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ძირეულ კოოპერატიულ აქტივსა და მთელ კოოპერატიულ საზოგადოებრიობას შორის, და დავარაზმოთ ისინი მტაცებლებისა და გამფლანგველების წინააღმდეგ.

კოოპერატიული ქონების მტაცებლობასთან ბრძოლის საკითხს ორგანიულად უკავშირდება კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციების, კერძოდ საქონელბრუნვის გადამწყვეტი რგოლის—მაღაზიების შემოწმებულ კვალიფიციური კადრებით განმტკიცების საკითხი.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პლენუმმა პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ძირეულ სავაჭრო ქსელის შემოწმებული კადრებით განმტკიცებას, შეამცირონ სავაჭრო-კოოპერატიული ორგანიზაციების სავაჭრო სამმართველო აპარატი 10—15 პროცენტამდე და საქონელმცოდნეთა სავაჭრო და საანგარიშო დარგის მუშათა 20 პროცენტით სამმართველოებიდან გადაიყვანონ ძირეულ სავაჭრო რგოლში და სხვ.

კოოპერატიული აპარატის და საქონელბრუნვის გადამწყვეტი რგოლების სავაჭრო მაღაზიების საიმედო, შემოწმებული, საქმის მცოდნე კადრებით განმტკიცება მთავარი პირობაა მტაცებლობის და გაფლანგვების აღმოსაფხვრელად.

კოოპერატიული ქონება მშრომელთა სოციალისტური საკუთრება წმინდათაწმინდა და ხელუხლებელია. მისი დაცვა თვითეული შრომელის საპატიო საქმეა, ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიულ და კოოპერატიულ ორგანოების ყოველდღიური მოწინავე საბრძოლო ამოცანაა.

მთელი შეგნებითა და კლასობრივი სიფხიზლის გამახვილებით დავდგეთ კოოპერატიული ქონების დაცვის სადარაჯოზე.

მ. ბრეგვაძე

კონკურსმა რა ქნა

ონი. ჭიორის სოფლის საბჭო— შავი დაფის კანდიდატი...

სამარცხვინოდ ჩამორჩენილი: ხორცის, მატყლის და ერბოს დამზადების საქმეში, გარღვეული ფრონტი ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში...

ასე ახასიათებდენ ჭიორის სოფსაბჭოს მუშაობას.

ეს იყო წინათ, კონკურსში ჩაბმამდე.

მაგრამ ახლა?

ყველა ამჩნევს რადიკალურ გარდატეხას საბჭოს მუშაობაში; დამზადების გეგმები—უკლებლივ სრულდება, ცოცხალი ტემპებით წაროებს საგზაო მშენებლობა, უკვე შეკეთებულია ნიაღვრებისაგან დაზიანებული გზების 80 პროცენტზე მეტი.

კიდევ?

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეცხოველეობის განვითარებას. შენდება ბოსელი 120 სული საქონლისათვის, გაკეთებულია სასილოსე ორმო 10 ტონის ტევადობით, დაკონტრაქტებულია 5 ხბო.

სოფსაბჭომ კარგა ხანია დაიწყო მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. უკვე დამთავრებულია სკოლების შენობათა რემონტი...

ეს მიღწევები. ნაკლოვანებანი?

სამწუხაროდ, ნაკლოვანებებიც, არის, აი, მაგალითად, კვლავ შეუსრულებელი რჩება ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმები, საბჭოს მუშაობაში არ არის დანერგილი წევრთა თვითანგარიშგება სუსტადაა დაყენებული შესრულების შემოწმება.

მხოლოდ ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის შემდეგ შეიძლება კონკურსში გამარჯვებაზე ლაპარაკი.

ა. ბერუჩევი

სურათზე: კარავი გზის მშენებელ მუშებისათვის და ავტო, რომელიც ეზიდება საშენ მასალას.

ფშავ-ხევსურეთის გზის მშენებლობა უნდა დამთავრდეს წელს

მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს მოევლინა კანონიერი ბატონ - პატრონი, რაც მშრომელებს დააკისრა ისტორიამ თავისივე ბედის განმგებლობა, დაისვა რეალურად ფშავ - ხევსურეთში გზის გაყვანის საკითხი და პრაქტიკულადაც დაიწყო მისი განხორციელება.

1929 წელი ისტორიული წელი იყო ფშავ - ხევსურეთის ისტორიაში. მაშინ შეუდგენ პირველად ფშავ-ხევსურეთის გზის საამშენებლო სამუშაოებს 53 კილომეტრის მანძილზე, ანანურიდან — ხევსურეთის ცენტრ სოფ. ბარისახომდე.

გზის მშენებლობა გეგმით 1937 წლისთვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ეს ვადა ახლა შემცირებულია, — საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, გზის მშენებლობა წელს უნდა დამთავრდეს. სამუშაოების დასამთავრებლად სახკომსაბჭომ გადასდო 800 ათასი მანეთი და გამოჰყო საშენებელი მასალის და იარაღების საჭირო ფონდი.

გზის მშენებლობას აწარმოებს დუშეთის რაისაგზაო განყოფილება.

წელს, პირველ რიგში, გზის მშენებლები შეუდგენ 27 კილომეტრზე არსებული ძველი ტრასის აღდგენას და კაპიტალურ რემონტს, ანანურიდან მაღაროს კარამდე, რის შემდეგაც გადავიდენ უფრო ძნელი უბნის (ბარისახომდე) შენებას. ეს უბანი მით არის ძნელი, რომ იგი მთლიანად კლდიანია და საჭიროა რთულ კლდის სამუშაოების წარმოება. ჯერ-ჯერობით გზა გაჭრილია უკვე 20 კილომეტრზე, — მაღაროს კარიდან ორწყალამდე და აქედან 16 კილომეტრზე გზა უკვე მოხრეშილია.

ამგვარად დუშეთის რაიონის მთავარ საზრუნავ საგანს დღეს ხსენებული გზის მშენებლობის დამთავრება და ამით პარტიის დირექტივის შესრულება შეადგენს. ის კიდევ იბრძვის ამისთვის. რაიონის მთელი საგზაო განყოფილების მუშაობა ამ გზაზეა გადატანილი და უშუალოდ ხელმძღვანელობენ მშენებლობას, მაგრამ ზოგიერთი გარემოება მაინც აფერხებს გზის გაყვანას. საქმე ისაა, რომ მშენებლობაზე ყოველ წლიურად 500 კაცი უნდა მუშაობდეს, ფაქტიურად კი გაცილებით ნაკლები მუშაობს. ეს გამოწვეულია მით, რომ მთელი რიგი სასოფლო საბჭოები არ აწვდიან მშენებლობას მუშა - ხელს (ფასანაური, მლეთი, გუდამაყარი, ჭოპორტი, ბაზალეთი). მათ არ შეუსრულებიათ ხელისუფლების დავალება მშენებლობისათვის შრომითი მონაწილეობის სახით მუშა - ხელის მიწოდებაზე. ამაში რაიონსაც მიუძღვის ბრალი, მან ვერ შესძლო ამ სოფლებში მასების დარაზმვა. საჭიროა ამ ნაკლის სასწრაფოდ გამოსწორება. ჩამოთვლილმა სასოფლო საბჭოებმა დაუყოვნებლივ უნდა მოიხადონ თავის ვალი გზის მშენებლობის წინაშე.

ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს მშენებლობაზე მუშების მომარაგების და კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებას, რადგან ის არ ვარგა.

ყველა ამ ნაკლის გამოსწორებით და მუშაობის უფრო გაცხოველებით ფშავ - ხევსურეთის გზის მშენებლობა წელს, რადაც არ უნდა დაჯდეს უნდა დამთავრდეს. ამას მოითხოვს პარტიის დირექტივა, ამას მოითხოვს ფშავ - ხევსურეთის კულტურულ - ეკონომიური აღორძინების საჭიროება.

სკოლები არ არის შეკეთებული

(ოჩემჩირე. ჩვენი საკ. კორ.)

ოჩემჩირის რაიონში ახალი სასწავლო წლისთვის სამზადისი მეორე ხარისხოვან საკითხად მიაჩნიათ.

27 აგვისტომდე 55 სასკოლო შენობიდან, რომელთაც მიმდინარე შეკეთება ჭირდებოდათ, მხოლოდ 27 შენობა იყო მზად. ისეთ დიდ სოფლის საბჭოებში, როგორიცაა: აძიუბჟა, ათარო-არმიანსკი, დაჩაოხურეი, გუპიდა ბესლახუბა, — დღემდე არ დაუწყიათ სასკოლო შენობებისა და ინვენტარის შეკეთება.

რაიგანათლების განყოფილების გამგე ამხ. ჭანიძეს ამ მხრივ არავითარი მუშაობა არ უწარმოებია. განათლების განყოფილების აპარატი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ახალი სასწავლო წლისთვის მზადებას. თვითდინებაზე დაყრდნობილი განათლების განყოფილება გულხელდაკრეფილი ელოდებოდა საქმის თავისთავად გაკეთებას.

არა ნაკლები უმოქმედობა გამოიჩინა საფინანსო განყოფილებამ. (გამგე: შენგელია). მან დაუშვებლად გააჭიანურა სახალხო განათლების საქმის დაფინანსება. მაგ; ბიუჯეტით სოფლისა და ქალაქის სასკოლო შენობების შესაკეთებლად გათვალისწინებულ 280 ათას მანეთიდან 18 ათასი მანეთი დღემდის არ არის გაცემული.

ამ გარემოებამ შეაფერხა სასკოლო შენობებისა და ინვენტარის შეკეთება. არ არის გაცემული აგრეთვე 109 ათასი მანეთი, რის გამოც ქალაქის სკოლებისთვის 200 პარტის ნაცვლად დამზადებულია მხოლოდ 98.

საბჭოთა მეურნეობებისა და ქალაქის მთელ რიგ სკოლებს კიდევ არა აქვთ სასკოლო შენობები. მიუხედავად იმისა, რომ პარტრაიკომმა დროულად დაავალა ჩაის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი: თორია) და კაუჩუკის სამრეწველო მეურნეობას (დირექტორი: შამბა) გამოენახათ სკოლებისათვის შესაფერი შენობები, — მათ ამ მხრივ არაფერი გააკეთეს.

ახალი სასწავლო წლისთვის მზადება ოჩემჩირის რაიონში ჩაშლის საფრთხის წინაშეა;

რაიონის პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები ამ მიმართულებით ხმასაც არ იღებენ. მათ სიჩუმე ამჯობინეს მზადებაში მონაწილეობის მიღებას..

ოჩემჩირის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებმა სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ სასწავლო წლის მზადებაში არსებული საგანგაშო მდგომარეობა.

გ. მ.

მთა უკავშირდება ბარს

ბევრი არ იცნობს მთა-თუშეთს. ეს მდიდარი და ნოყიერი საძოვრებით სავსე მხარე მდებარეობს კავკასიონის მთების შუაგულში. 37 სოფელია გაშენებული მის კალთებზე.

მაგრამ მარტო ამით კი არ არის შესანიშნავი ეს მხარე. მთა-თუშეთის საზაფხულო საძოვრები განთქმულია მთელს საბჭოთა კავშირში. მთა-თუშეთის საძოვრები დაყოფილია ხუტორებათ, თვითეულ ხუტორში მოთავსებულია ათეული ათასობით ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი. საძოვარი ბალახი აქ სავსეა ვიტამინებით და ნაზამთრევ პირუტყვს ორ კვირაში ასწორებს.

აი, ეს, საზაფხულო საძოვრებით მდიდარი რაიონი უგზობის გამო წლევანდლამდე თითქმის გამოუყენებელი იყო, მთა-თუშეთის მკიდრი მოსახლეობა 9 თვის განმავლობაში მოწყვეტილი იყო ბარს, რაიონის ცენტრს და ქვეყნის ბრუნვისა არაფერი ესმოდა.

⁂

მთა-თუშეთი თელავიდან 80 კილომეტრითაა დაშორებული ამ მანძილის გადალახვას ცხენოსანი მგზავრი სამ დღეს უნდება.

მთა-თუშეთში გადასასვლელად ცნობილია ორი გზა:—ერთი ნაქერალის გზა, რომელიც გადადის სოფ. ვესტოზე. მთაში და მეორე კეპანის, რომელიც გადადის სოფ. ხისოში. ორივე გზა მოგზაურობისათვის ძლიერ სახიფათოა სივიწროვის, ნაშალობისა და ტინიანობის გამო. უამინდობის დროს აქ ხშირია უბედური შემთხვევა, ადამიანის მსხვერპლიც. მარტო გასულ წელს კლდეზე გადავარდა რამდენიმე ცხენი და დაიღუპა 100 ზე მეტი პირუტყვი.

ჯერ კიდევ 1927 წელში დაისვა საკითხი გზის გაყვანის შესახებ მთა-თუშეთში, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება ჭიანურდებოდა.

ბოლოს 1933 წელს, ამხ. ლავრენტი ბერიას წინადადებით, გზის მშენებლობა დაიწყო და დიდი მუშაობაც ჩატარდა, ასე, რომ მიმდინარე წლისათვის დასამთავრებელი დარჩა გზა 4 კილომეტრის მანძილზე. ეს მეტად საპასუხისმგებლო და ძნელი საქმე იყო. გზა გადიოდა ისეთ ადგილას, რომელსაც ადამიანის ფეხი არ მიეკარებოდა. სალი ციცაბო 400—600 მეტრიანი კლდეები ართულებდენ მუშაობას. თუშეთის მცხოვრებნი უიმედოთ აცხადებდენ. ამ სამი ხევის შეერთებას ვერაფერი შესძლებსო, მაგრამ იქ, სადაც გლეხობა უძლური გამოდგა ბუნებასთან ბრძოლაში წითელი არმია გამოვიდა გამარჯვებული.

საქართველოს სახკომსაბჭომ, გზის მშენებლობის დამთავრება დაავალა ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულს.

⁂

ელვის სისწრაფით მოედო ბანაკად გასულ წითელ მეომრებს ცნობა სახკომსაბჭოს დადგენილების შესახებ.

— ამხანაგებო, ჩვენ გვგზავნიან მეტად საპასუხისმგებლო სამუშაოზე, — ეუბნება მეომრებს კომისარი ამხ. კიკვაძე, — ამ დავალების შესრულებით ჩვენ პრაქტიკულად განვახორციელებთ პარტიის მე-17 ყრილობის დადგენილებას—სოციალისტური მესაქონლეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის შესახებ. ჩვენ გზას გაუხსნით პირუტყვს ისეთ საძოვრებისაკენ, სადაც დღემდე ნადირის მეტს არაფერს გაუვლია.

წინ წამოდგა მეომარი ჩიქვანაია და მეთაურს მოკლე პატაკით უპასუხა.

— ამხანაგო მეთაურო, — გადაეცით ამხ. ლ. ბერიას, გერ. მგალობლიშვილს, რომ მათი დავალება ჩვენს მიერ ვადაზე ადრე იქნება შესრულებული.

⁂

ივლისის პირველ რიცხვებიდან მეომრები შეუდგენ მუშაობას.

პირველი ამოცანა იყო ზვავებისა და ნიაღვრებისაგან წალეკილ ძველი გზის აღდგენა 11 კილომეტრის მანძილზე; 7 კილომეტრი გზა გასუფთავეს და აღადგინეს.

ახალი გზა უნდა გაჭრილიყო 4 კილომეტრის სიგრძეზე ისეთ მიუვალ მთებზე, როგორიცაა შავი ხევი, ტარაფი და ფუტკარას ხევი. აქ მუშაობა მეტად ძნელი იყო, რადგან ციცაბო კლდეზე, რომელიც ტინით და მადანნარევი ქვებით არის ჩაკირული, ფეხის გადადგმაც კი საშიშია, მაგრამ მეომრებს ამის არ შეშინებიათ. ისინი იშვიათი გამბედაობით და სისწრაფით ეკვეთნენ საქმეს. გაიშალა მუშაობა.

ბრიგადებად დაყოფილი ოცეულები ერთმანეთს ეჯიბრებიან ყველას უნდა პირველობა და აი ამ პირველობაში მებრძოლი მეომრები ყოველგვარ სიძნელეებს ძლევდენ.

მებრძოლმა სანიკიძემ მშენებლობის ადგილზე გამოკიდა ლოზუნგი: „არ არის ისეთი ციხე - სიმაგრე, რომლის აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ“, გამოიტანა ური და, ჩიქვანაიასთან ერთად, გასინჯა შავი კლდე. მათ რამოდენიმე ადგილას ამობურღეს იგი და ამოავსეს ამონალით. 4 კილო ამონალმა, ნაცვლად 300 კუბ. მეტრისა, ამოგლიჯა 3—4 კუბ. მეტრი ქვა. მებრძოლების წინაშე მწვავედ დაისვა ტექნიკის ათვისების ამოცანა. დაძლიეს ეს სიძნელე და... მალე მეტრონახევრიანი სიგანის გზით შავი ხევი შეუერთეს ტარაფის ხევთან.

მეთაურ ჭელიძემ მადანნარევ ტინიან კლდეზე 150 მეტრი სიგრძის და 1,5 მეტრი სიგანის გზა გაიყვანა სულ რაღაც 9 დღის განმავლობაში.

მეომარმა ჩიქვანაიამ 300 მეტრის სიმაღლეზე თოკით კლდეებზე ჩამოკიდებულს გაყავდა ახალი გზა.

— მე ასეთი ადამიანის მნახველი არა ვარ, ერთიც ვნახოთ თოკი გაწყდეს, მაგის ძვალსა და რბილს ვერ მოსძებნის კაცი,— განცვიფრებით ამბობდა ჩიქვანიას შემყურე თუშეთის მცხოვრები, — ხოჯა და თან სიხარულის ცრემლებს ღვრიდა. ჭალარა გლეხი თავის თვალით ხედავდა პარტიის და მთავრობის უმაგალითო მზრუნველობის ნაყოფს.

ხოჯა გზაზე მომუშავე მეომრებს ვერაფერს ეუბნებოდა, რადგან აღტაცებას იგი აღელვებამდი მიჰყავდა. უსიტყვოთ ჩამოუვლიდა ხოლმე ხოჯა წითელარმიელთა რიგებს, ეხველოდა თვითეულს, კოცნიდა მათ და გრძნობდა, რომ მათის ხელით საუკუნოებით მოწყვეტილი მთა-თუშეთის სოფლები უკავშირდებოდენ ბარის სოციალისტურ ყოფას.

⁂

მე-5 ოცეულმა თავი დამკვრელად გამოაცხადა. მეთაურმა ამხ. ქარცივაძემ არაჩვეულებრივი გამბედაობა და სიმამაცე გამოიჩინა, მას მინდობილი ქონდა მიუვალ პიტალო კლდეზე გაეყვანა გზა სიგრძით 3 კილომეტრი. ამით დასრულდებოდა მთა-თუშეთის გზის შეერთება დუშეთიდან მომავალ გზასთან. ამხ. ქარცივაძემ 300 მეტრის სიმაღლიდან ხეს გამოაბა თოკი და მთელი თავისი ოცეული ამ საშუალებით გადაიყვანა ხევში. საიდანაც უნდა დაწყებულიყო მუშაობა. ოპერაცია ჩატარდა ძლიერ კარგად, გაბედულად და უმსხვერპლოდ.

ამხ. ქარცივაძის ოცეულმა მიცემული დავალება შეასრულა. ერთ მშვენიერ დღეს მაღალ მთაზე რაღაც წითელი ნაგლეჯი გამოჩნდა, თურმე მეომრებს, დროშის უქონლობის გამო, წითელი „მაიკა“ გამოეკიდათ ჯოხზე და ამცნობდენ ყველას, რომ მთა-თუშეთის გზა გახსნილია, — ბარი და მთა შეერთებულია. ეს ისეთი გამარჯვება იყო, რომლის მიღწევაზე წარსულში ოცნებაც კი შეუძლებელი იყო.

არ ჩამოუვარდნენ გმირობაში ამხ. ქარცივაძეს მთელი რიგი მებრძოლები. ოცეულის მეთაური ამხ. ხაჭაპურიძე გადავიდა ისეთ ხევზე, რომელზედაც თუშების თქმით წინათ ფრინველის მეტი არაფერი გადაფრენილა.

მეთაურმა ჭელიძემ გამობერილ მთას გულმკერდი შეუნგრია და ქვეშ 250 მეტრის სიგრძეზე გაიყვანა იშვიათი ტექნიკური ღირსების გზა, და ამით ორი მთა შეუერთა ერთმანეთს.

⁂

ახლად გაყვანილ გზაზე მისმა ოცეულმა ააგო 4 ხიდი. ერთ-ერთი მათგანი აგებულია ყველაზე უფრო რთულ ადგილას. აქ მისი სიმაღლე 85 მეტრია. მიუხედავად იმისა, რომ მეომრებს აქ მუშაობა უხდებოდა ჰაერში გამოკიდებულთ, ეს დავალება მათ ვადაზე ადრე შეასრულეს.

პარტიის თელავის რაიკომმა და რაიაღმასკომმა სათანადოთ შეაფასა წითელი მეომრების მიერ ჩატარებული მუშაობა. მთელ შემადგენლობას გამოეცხადა მადლობა და დაჯილდოებული იქნა 3.000 მანეთით.

საგზაო მშენებლობაში ჩაბმულმა კოლმეურნე და ინდივიდუალურმა გლეხებმა ფრონტელების მაგალითზე უნდა ისწავლონ, თუ როგორ უნდა კარგი გზის შენება, რომ გახდენ ღირსნი სტალინურ საგზურისა.

არ. კოკილაშვილი.

5 სექტემბერს ტფილისში გაიხსნა საქართველოს რადიო - მუშაკების რესპუბლიკური კონფერენცია, რომლის დღის წესრიგშიც დასმული იყო რადიოქსელის მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

კონფერენციაზე ჩამოვიდნენ: რადიო-ქსელის ტექნიკოსები, საქ. რადიოკომიტეტის რწმუნებულები და ზოგიერთი რაიონის კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სურათზე: კონფერენციის დელეგატების ჯგუფი — ავალიანი (ლაგოდეხი), ვ. ჩაგანავა (აბაშა), მათიაშვილი (გორი), ვ. გოგიაშვილი (ზესტაფონი), კონდელი (კასპი), ალ. მიქელაძე (აჭარისტანი), პოლენიკოვი (ბათომი) და გორგიაშვილი (თელავი).

ამხ. ფ. მახარაძე ხევსურეთში

დუშეთი, 6 აგვისტო (საკ. კორ.). დღეს დუშეთში ჩამოვიდა საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, რომელიც ადგილობრივ ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად, გაემგზავრა ხევსურეთის გზების დასათვალიერებლად.

ამხ. ფ. მახარაძესთან ერთად ხევსურეთში გაემგზავრა საქგზატრანსის უფროსი ამხ. ვ. ქურდაძე.

* * *

უშბას მწვერვალი აღებულია

მესტია, 6 სექტემბერი. საქ. პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოების ექსპედიცია ამხ. ა. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით უკვე ავიდა უშბას მწვერვალზე. ექსპედიციის წევრები მხოლოდ დღეს დაბრუნდნენ მესტიაში.

მწვერვალის უმაღლეს წერტილს (4.698 მეტრი ზღვის დონიდან) მიაღწია ექსპედიციის 4 წევრმა, მათ შორის ერთმა ქალმა — ალექსანდრა ჯაფარიძემ.

უშბის კომიტეტის თავმჯდომარე
ექ. ს. ასლანიშვილი.

* * *

მომხმარებელს — კარგი ხარისხის პური

სოხუმი, 6 სექტ. საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მოისმინა მოხსენება აფხაზეთის პურტრესტის მუშაობის შესახებ. საოლქო კომიტეტმა აღნიშნა, რომ ტრესტმა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა არადამაკმაყოფილებლად შეასრულა.

საულუფო პურის გეგმა შესრულებული იყო 87,1 პროც., კომერციულისა — 86 პროც. ამან გამოიწვია შეფერხება მომხმარებლის პურით მომარაგების საქმეში.

ფინანსიური დისციპლინის დარღვევამ გამოიწვია სადებიტორო დავალიანების გადიდება 320 ათას მანეთამდე.

უკიდურესი ანტისანიტარული მდგომარეობა აღმოაჩინა გამოკვლევამ პურის ქარხანაში. გაგრის განყოფილებაში ადგილი ჰქონდა ფასების თვითნებურ აწევას პურზე. ერთის სიტყვით, გაუპიროვნებას, ერთმმართველობის დარღვევას, ხელფასში გათანაბრებასა და მუშა-ხელის დენადობას მაგრად ჰქონდა გადგმული ფესვი აფხაზეთის პურტრესტის საწარმოებში.

ამის გამო საოლქო კომიტეტმა დაადგინა: პარტიულ-მასობრივი მუშაობის ცუდი დაყენებისათვის მოიხსნას თანამდებობიდან პურის ქარხნის პარტკომის მდივანი ლურიე წინადადება მიეცა აფხპურტრესტის დირექტორს სტეპანოვს უზრუნველყოს მესამე კვარტალის პურის გამოცხობის გეგმის შესრულება.

პარტკომს დაევალა მოახდინოს პარტიული ძალების სწორი განაწილება.

ამხ. ბუბნოვი ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდა რსფსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. ბუბნოვი, რომელიც ესტუმრა საქ. განათლების სახალხო კომისარიატს, მის მუშაობის გაცნობის მიზნით.

დღეს ამხ. ბუბნოვი დაათვალიერებს — ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სახელმწიფო მუზეუმს ხელოვნებათა მუზეუმს (ყოფ. მეტეხი), ქალაქის პირველ პედტექნიკუმს და რევოლუციის მუზეუმს

* * *

ახალი სახლები დამკვრელთათვის

ტფილისი მდიდრდება ახალი საცხოვრებელი სახლებით. მიმდინარე წლის ბოლომდე მთელ ქალაქში უნდა აშენდეს ოცზე მეტი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

უკვე შენდება და უახლოეს თვეებში მთავრდება — ტრამვაის მუშების, საქგზატრანსის ინჟენერ-ტექნიკოსების, დამკვრელების და სხვ. სახლები.

კალინინის ქუჩაზე შენდება 54 ბინიანი სახლი საფინანსო ფრონტის დამკვრელი მუშაკებისათვის. სახლში ბინები მიეცემათ იმ ფინდამკვრელებს, რომლებიც დაწინაურდნენ სახელმწიფო სესხების გავრცელებასა და რეალიზაციაში, მოსახლეობის თავისუფალი თანხების შემნახველ სალაროებში მიზიდვაში და სხვ.

სახლის აგება ჯდება 500.000 მანეთამდე. იგი მზად იქნება 1935 წლის იანვრისათვის.

სურათზე — ფინდამკვრელის სახლი კალინინის ქუჩაზე.

მომავალი ტფილისი



სურათზე: ერთერთი დაპროექტებული მოედანი ნავთლუღის სამოსახლო რაიონში

350 ტონა ყურძენი ტფილისს

ა.-კავკასიის სახკომსაბჭომ გამოიტანა დადგენილება ა.-კ. ს. ფ. ს. რ. საწარმოო ცენტრების მიმდინარე წლის მოსავლის კარტოფილით, ბოსტნეულით, ხილით და ყურძნით მომარაგების შესახებ ბაქოს და ერევნის მშრომელთა მომარაგება მოხდება ადგილობრივ რესპუბლიკათა დამზადების ფონდიდან.

ტფილისში ადგილობრივ დამზადებათა ფონდიდან შემოტანილი იქნება 100 ტონა ყურძენი. გარდა ამისა, აზერბეიჯანიდან ტფილისის მშრომელთა მოსამარაგებლად შემოვა 100 ტონა, ხოლო სომხეთიდან — 150 ტონა ყურძენი.

* * *

სამეცნიერო ექსპედიცია ზემოსვანეთში

ზემოსვანეთში ამჟამად მუშაობს საქართველოს ჯანსახკომის სამედიცინო ექსპედიცია ექიმ ი. ასლანიშვილის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის მიზანია ჩიყვის საწინააღმდეგოდ მიღებულ ზომათა შედეგების შესწავლა. ექსპედიციის ცნობით ეს შედეგები ფრიად დამაკმაყოფილებელია. ჩიყვიანობის შემთხვევები საგრძნობლად შემცირებულა იქ, სადაც ავადმყოფები, ადგილობრივი წყლის მაგიერ მინერალურ წყალს სვამენ გამუდმებით. (გასულ წელს სოფელ უშხვანარში ბალისქედის კალთებიდან გამოიყვანეს მინერალური წყარო).

დადებითი შედეგი მოუცია ექსპედიციის ახალ ცდებს, მინერალური წყლებიდან მარილების გამოსაყოფად რომ ჩაატარეს. მიღებულია მარილები რკინისა და იოდის უხვი შენაერთებით. ეს მარილები ექსპედიციის აზრით უნდა მიაწოდონ ისეთ დაჩიყვიანებულ ადამიანებს, სადაც მინერალური წყლები არ არის და არც მისი წყალსადენით მიწოდება შეიძლება.

მინერალური წყლებიდან მარილების გამოხდისათვის ექსპედიციას განზრახვა აქვს, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან წინასწარი შეთანხმებით, მომავალი წლიდან ზემოსვანეთში აგოს პატარა ქარხანა

ექსპედიციიდან გამოყოფილია რაზმი, ექიმ ანდრო აბაშიძის ხელმძღვანელობით, რომელიც მუშაობს წინა ექსპედიციის მიერ გამორჩენილ ლახამულას, ჭვიშერის და ლენხერის სოფლებში ჩიყვიანობის გამოსაკვლევად.

სამეცნიერო ექსპედიცია ზემოსვანეთში დარჩება კიდევ ორ თვეს.

დღეს ტფილისში მოელიან საბჭოთა კავშირის გმირებს

დღეს, 8 სექტემბერს დილით ბაქოდან ტფილისში მოელიან საბჭოთა კავშირის გმირებს — ჩელუსკინელებს, რომლებიც ბაქოდან გამოემგზავრებიან დილის 6 საათზე.

სტუმრების ტფილისში ჩამოსვლის დროისათვის (დილის 8 ს. 30 წ.) ტფილისის აეროპორტზე თავს მოიყრიან ტფილისის საწარმოთა მუშებისა და სამეცნიერო მუშაკების დელეგაციები. სახელდახელო მიტინგის შემდეგ, აეროდრომიდან სტუმრები წამოვლენ ქალაქში დასასვენებლად.

დღესვე, სალ. 8 საათზე ორჯონიკიძის სახ. საზაფხულო ბაღში შესდგება გმირი ჩელუსკინელების შეხვედრა ტფილისის ფაბრიკა-ქარხნების დამკვრელებთან.

ხვალ, 9 სექტემბერს, სტუმრები შეხვდებიან ტფილისის გარნიზონის წარმომადგენლებს და თავდაცვა - ავიაქიმის აქტივს, ტფილისის აეროკლუბში (ყოფ. ვერის პარკი)

ჩელუსკინელებთან შეხვედრის საღამოები გადაცემული იქნება რადიოთი და გადაღებული იქნება კინოსთვის.

* * *

მეკამეჩეობის ფერმები

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით წელს პირველად ა.-კავკასიის რესპუბლიკებში ეწყობა მეკამეჩეობის 23 საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმა. მათ შორის 10 ფერმა ეწყობა საქართველოში.

ამჟამად საქართველოში უკვე მოწყობილია მეკამეჩეობის 3 ფერმა — ფოთის, ყვარელის და თელავის რაიონებში. წარმოებს მუშაობა დანარჩენ 7 ფერმის მოსაწყობად. მეკამეჩეობის ფერმები კოლმეურნეობებში განსაზღვრულებული ზაქების ჯოგების ბაზაზე ეწყობა. ფერმები საკვებით და ზოოვეტერინარული მომსახურებით, სავსებით იქნება უზრუნველყოფილი.

მეკამეჩეობის ფერმების უმეტესი ნაწილი მოეწყობა კახეთსა და სამეგრელოში. სადაც მესაქონლეობის ამ დარგის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობს.

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით პირველად ეყრება საფუძველი სასაქონლო და სახაზინო მეკამეჩეობის განვითარებას. ერთი ასეთი ხასიათის ფერმა უკვე მოწყობილია ფოთში. მეორე — კახეთში.

სეზონი ტფილისის კურორტებზე

ტფილისის გარეუბნის საკურორტო სამმართველოს აგარაკებზე (მანგლისი, კოჯორი, კიკეთი და წყნეთი) საზაფხულო სეზონი თავდება 15 სექტემბერს.

კოჯორში 15 ივნისიდან (სეზონის დასაწყისი) 16 სექტემბრამდე გატარდა 2.000 მოაგარაკე. კიკეთში 800, მანგლისში — 14 ივნისიდან 16 სექტემბრამდე 1.500 და წყნეთში 15 ივნისიდან 16 სექტემბრამდე—800 მოაგარაკე.

მანგლისში მოწყობილია აგრეთვე საბავშო სანატორიუმი, სადაც ზაფხულის სეზონის განმავლობაში გატარდა 240 ავადმყოფი ბავშვი.

* * *

სპორტის დღესასწაული ბათუმში

ბათუმი, 7 სექტემბერი. 6 სექტემბერი ბათომელი ფიზკულტურელებისათვის მრავალმხრივ იყო აღსანიშნავი. ამ დღეს შესდგა ახლად მოწყობილი ცურვის სადგურის გახსნა, რომელიც მოაწყო პროფსაბჭომ და რომელიც 300 ათას მანეთამდე დაჯდა. სადგურის შენობა ორ სართულიანია, აგებულია იგი ზღვის ნაპირას და სანიმუშოდაა მოწყობილი.

სადგურის საზეიმო გახსნისას შესდგა წყალზე სპორტის საკავშირო ესტაფეტის სტარტი ბათომიდან სოხუმამდე (90 მილი). ესტაფეტაში მონაწილეობას ღებულობს სამი გემი, ორი იალქნიანი და ერთი მოტორიანი. სამივე გემზე 35 კაცია

ესტაფეტის ჩაბარების აღსანიშნავად ბათომში გაიხსნა შეჯიბრება წყალზე სპორტში შეჯიბრებაში მონაწილეობენ საუკეთესო მცურავი ფიზკულტურელები — ტფილისიდან, ბათომიდან, სოხუმიდან, ფოთიდან, ქუთაისიდან და სხ. ქალაქებიდან. (ადს).

390 ტრაქტორისტი

ა.-კ. მიწსახკომის ცნობით მიმდინარე შემოდგომაზე მთელს ამიერ-კავკასიაში სატრაქტორო სკოლებში მიღებული იქნება 390 მსმენელი. მათ შორის აზერბეიჯანში — 250 კაცი, სომხეთში — 35 და საქართველოში — 105. მსმენელების შერჩევა წარმოებს იმ ვარაუდით, რომ პირველ რიგში ტრაქტორისტებით უზრუნველყოფილი იქნებიან ახლად დაარსებული სამანქანო-სატრაქტორო სადგურები.

გე-26 საცდელ - საჩვენებელი სკოლის მოწაფეები აქტიურად ჩაებნენ სასწავლო წლისათვის სკოლის მოსამზადებლად დაწყებულ პრაქტიკულ მუშაობაში. გასულ სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიურად დაწინაურებულმა მოწაფეებმა სკოლის დასახმარებლად გამოჰყვეს საბუქსირო ბრიგადა, რომელიც ამზადებს თვალსაჩინო სახელმძღვანელოებს სკოლის სხვადასხვა კაბინეტებისთვის (ფიზიკური, ბიოლოგიური, ქიმიური და სხვ. კაბინეტები).

სურათზე: საბუქსირო ბრიგადის წევრი - მოწაფეები — მერაბაშვილი, ეჯოშვილი და მოსესოვი ამზადებენ თვალსაჩინო სახელმძღვანელოებს სკოლისათვის.

დასასვენებელი სახლი სამეცნიერო მუშაკებისათვის

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის სექტორი შეუდგა ახალი დასასვენებელი სახლის აგებას ციხისძირში. დასასვენებელ სახლს ექნება 43 ოთახი საჭირო სასამსახურო ნაგებობებით.

აღნიშნულ სახლში დასასვენებლად გაიგზავნებიან მხოლოდ სამეცნიერო მუშაკები.

სახლი მზად უნდა იყოს 1935 წლის მარტში.

* * *

გულგრილობის დოკუმენტი



ტფილისში არის ისეთი ქუჩები, რომელთა კეთილმოწყობა არავის აინტერესებს. ზოგან ორმოებია ქუჩაში (ბარნოვის ქ.), ზოგან ქვაფენილებია აგრეული, ზოგანაც სახლია დანგრეული. ასეთი ქუჩების რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად არქივის შესახვევი. აქ, არის ერთი ძველი სახლი (№ 14), რომლის ერთი მხარე უკვე ჩამონგრეულია. ნანგრევებთან გროვდებიან ბავშვები, თამაშობენ, ერთობიან.

სახლის ერთი კედელი საცაა ჩამოინგრევა, მაგრამ არავინ აქცევს მას ყურადღებას. კედლის მოულოდნელად ჩამონგრევა უთუოდ მსხვერპლს გამოიწვევს (ქუჩა [illegible] ხალხი იქვეა).

საჭიროა ორჯონიკიძის რაისაბჭოს ტექნიკურმა განყოფილებამ გაგზავნოს თავისი ტექნიკოსები და მიიღოს გამაფრთხილებელი ზომები მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად.

სურათზე: სახლი არქივის შესახ. (№ 14), რომლის კედლებიც ინგრევა.

მუშათა კლუბებსა და პარკებში

ტრამვაის მუშათა კლუბში — ტფილისის სატირის თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ყვარყვარე თუთაბერი". ბაღში სასულე ორკესტრი.

ვოროშილოვის სახ. საზაფხულო ბაღში —კონცერტი ტფილისის ესტრადის მსახიობთა მონაწილეობით. კინოში „[illegible] № 99"

ორჯონიკიძის სახ. საზაფხულო ბაღში— კონცერტი, სასულე ორკესტრი და კინო ახალი პროგრამით.

პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში—ადგილობრივი ქართული დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწინდნენ" ნ. გოცირიძის მონაწილეობით.

სტალინის სახ. მუშათა კლუბში — ლენინგრადის თეატრის „სტროიკას" გასტროლები. მონაწილეობს მთელი დასი.

ქრონიკა

1000 მანეთი საჩუქრად შეფისაგან. საქ. მტვირთავის დირექციამ 1000 მანეთი გადასცა მის შეფობაში მყოფ სამხედრო ნაწილის სარდლობას იმ წითელარმიელების დასაჯილდოებლად, რომლებმაც უფრო წარმატებით აითვისეს სამხედრო ტექნიკა.

5.000 მშრომელმა დაათვალიერა ტფილისის გენერალური გეგმის პროექტების გამოფენა 1-დან 7 სექტემბრამდე. ამ ხნის განმავლობაში, გამოფენის დამთვალიერებლებისაგან მიღებულია 60-მდე წინადადება გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქ. პროფსაბჭომ მიიღო დადგენილება სამუშაოდან იმ მუშა-მოსამსახურეთა ერთთვიანი განთავისუფლების შესახებ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საჰაერო თავდაცვის ერთთვიურის ჩატარებაში.

დღეს, საღამოს 7 საათზე განათლ. მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) შესდგება ტფილისის ყველა ტიპის ბიბლიოთეკის გამგეთა საერთო კრება. დღის წესრიგში—საკითხი ბიბლიოთეკების საკავშირო აღწერის შესახებ.

მარგანეცი

5 სექტემბერი

ასაქონლო პროდუქციის გამომუშავება (ტონობით)

გეგმა	ფაქტიური	%
3.330	2.985	89,7

ვაგონების მიწოდება

მოთხოვილი	მიაწოდეს	დაიტვირთა
190	190	190

ოქტომბერი 7 9. 11.	მე-2 კვირა დაიდგმა ხმოვანი ფილმი კორუჩიკი კიჟე
დამკვრელი საზაფხ. 6-30 8 9-30 11	ამერიკული ფილმი 1-ლი სერია ვერცხლის შარფი
დამკვრელი საზამთ. 8-45 10 11-15.	
ეთერი საზაფხ. 8 -30 11	მალი ოვს ი და ბელი-კ ივი სურათში „ჟინულის სახლი"
ტემპი (საზაფხ.) 8-45 10-20.	ა ლ ი მ ი (ყირიმელი ყაჩაღი) ჭაირის მონაწილეობით.
„26"-ის სახელ. [illegible] 8-45 10 15	[illegible] ფილმი ახალი ცხოვრებისაკენ
რ. ლიუქსემბურგის სახელობის [illegible] 6-30 8-30, 10-30.	მე-2 კვირა დადგმა ხმოვანი სურათი „არქტიკის გმირები" (ჩელუსკინი)
„კომინტერნი" საზაფ. (დიდუბე) 9. 11.	ახალი ძხატვრ ფილმი „ვინ არის შენი მეგობარი"?

რუსთაველის თეატრი
სახ. არტისტის სანდრო ახმეტელის
ხელმძღვანელობით
სეზონი 1934-35 წლის

თეატრთან არსებულ სტუდია-სახელოსნოში განცხადებების მიღება წარმოებს. განცხადებასთან ერთად საჭიროა შემდეგი საბუთების წარდგენა:

1. განათლების არა ნაკლებ შვიდ წლედისა, 2. ავტობიოგრაფია [illegible]სთან დამოწმებულების, 3. დაბადების, 4. სოციალური მდგომარეობის, 5. ჯანმრთელობის, 6. ორი ფოტოგრაფიული სურათი. სტუდიაში მიიღებიან მამაკაცები 18—25 წლამდე, ქალები 17—25 წლამდე. გამოცდები 24 და 30 სექტემბერს

3—1 ნ. 437 დირექცია.

რუსთაველის თეატრი
სახ. არტ. ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით
1934-35 წ. სეზონი

სტუდენტებისა და მოწაფე ახალგაზრდობისათვის თეატრის მიერ გამოშვებულია სტუდენტთა აბონიმენტის მხოლოდ სამი სერია 50%-ის შეღავათით აბონიმენტის დაწერის უკანასკნელი ვადა [illegible]-ლი ოქტომბერი ნ. 434

რუსთაველის თეატრი რესპ. სახალხო არტ. სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით
1934-35 წ. სეზონი.

წარმოება-დაწესებულებების ფაბზავკომებს და ადგილკომებს რომ მეტი საშუალება მიეცეთ დამკვრელ მუშა-მოსამსახურეთ უკეთესი კულტურული მომსახურეობა გაუწიონ თეატრის დირექციამ 1934-35 წ. სეზონში გამოუშვა დამკვრელთა მუდმივი ადგილების სერია 180 წარმოდგენაზე დაწერების უფლებით 50%-ის შეღავათით თანხის 4-ჯერათ გადახდის ვადით. მუდმივი ადგილების შეძენის ვადა გაგრძელებულია 20 სექტ. მბრამდე. 2-1 ნ 428

მს. მრ. კომისარიატის საკერვალო სამმართველოს ფაბრიკა № 6
კოოპერაციის ქ. № 22 (ყოფ. სომხის ბაზარი)

აცხადებს შემკვეთელების საყურადღებოდ, რომ [illegible] შეკვეთები (კოსტიუმები და პალტოები) როგორც კაცის ისე ქალის რომლებიც დამზადებული იყო 1 ლ სექტემბრისათვის, გამოუყიდველი უნდა იქნას ხუთი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. ათი დღის შემდეგ შეკვეთები გაიყიდება სხვა პირებზე ორდერებით და არავითარი პრეტენზია არ მიიღება.

შეკვეთების ნომრები:

21, 25, 59, 67, 104, 198, 217, 235, 273, 285, 299, 304, 323, 371, 380, 385, 394, 518, 526, 592, 649, 830, 1122, 1178, 1189, 1220, 1299, 1384, 1536, 1574, 1579, 1787, 1809, 1860, 1916, 2016, 2101, 2143, 2148, 2155, 2200, 2273, 2284, 2319, 2385 2395, 2410, 2452, 2463, 2480, 2489, 2501, 2554, 2557, 2563, 2566, 2587, 2636, 2642, 2655, 2660, 2696, 2701, 2727, 2786, 2791, 2824, 2857, 2889, 2898, 2899, 2913, 2951, 2966, 2971, 2988, 2995, 2998, 3027, 3086, 3101, 3103, 3119, 3132, 3155, 3157, 3193, 3282, 3317, 3346, 3396, 3453, 3458, 3506, 3517, 3559, 3565, 3578, 3596, 3614, 3616, 3618, 3623, 3641, 3643, 3647, 3664, 3670, 3671, 3672, 3681, 3693, 3695, 3702, 3716, 3724, 3725, 3829, 3831, 3849, 3871, 3887, 3939, 3969, 4054, 4127, 4132, 4137, 4144, 4162, 4183, 4189, 4206, 4279, 4282, 4287, 4307, 4333, 4353, 4373, 4376, 4390, 4393, 4401, 4421, 4427, 4438, 4441, 4449, 4461, 4471, 4799, 4830, 4957, 5017, 5045 5057, 5130, 5310, 5699 5905, 6006, 8096, 12013, 12034, 12084, 12125, 12137, 12146, 12175, 12205, 12228, 12229, 12244, 12246, 12249, 12251, 12275, 12276, 12301, 12309, 12319, 12330, 12358, 12437, 12438, 12447, 12454, 12455, 12456, 12483, 12484, 12523, 12534, 12551, 12552, 12553, 12555, 12556, 12561, 12565, 12568, 12584, 12586, 12594, 12625, 12631, 12646, 12649, 12667, 12673, 12702, 12713, 12726, 12756, 12757, 12776.

[illegible] შეკვეთები—ხალათები, შარვლები და ქალის კაბები, რომლებიც მზად იყო 1-ლ სექტემბრისათვის გამოუყიდველი უნდა იქნეს ათი დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ათი დღის შემდეგ შეკვეთები გაიყიდება ორდერებით სხვა პირებზე და არავითარი პრეტენზია არ მიიღება.

შენიშვნა: ზემოაღნიშნულ შეკვეთები [illegible] ნომრებში [illegible] ნ. 432

იყიდება
„პირლისის" სისტემის საბარგო მანქანა.
პირობებს [illegible] ა. კ. რკინის გზის ხაზის ნამ-სამშენებლო დისტანციის კანტორაში, ყურამის ქ. № 13 5076

ჩამოყალიბებულია არტელი „წითელი საქართველო"
რომელიც ხსნის ბუფეტებს დაწესებულებებში, საავადმყოფოებში, სასწავლებლებში, წარმოებებში და სხვაგან.
მსურველებს შეუძლიანთ მიმართონ გამგეობას: პირველი მაისის (ყოფილი კათალიკოსების) ქუჩა № 4.
06 გამგეობის თ-რე: ზადიშვილი

იყიდება ელ-მოტორი 50 ვოლტი 5 კილოვატი და ტრანსფორმატორი თავის მოწყობილობით. ნახვა შეიძლება ყოველდღე 7-9½ საათამდე მისამართი [illegible] 6 ხის დამამუშავებელ საქარხნო საფაბრიკო სკოლის სახელოსნო ქარხანა. 5076

დაკარგულია საფეიქრო ინდუსტრიალური ტექნიკუმის რგვალი ბეჭედი ჩ. გ. 5077

სასცენო ხელოვნების უმაღლესი
კურსები
დრამატიული, ქორეოგრაფიული და საესტრადო
განყოფილებანი. კამოს ქ. № 59.
მისაღები გამოცდები იწყება 10 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე.
3-3 ა. 427 დირექცია.

კონკურსი საუკეთესო კინო სცენარზე „ვეფხის-ტყაოსანი"-ს დასადგმელად

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების განსახორციელებლად, შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის შესრულებასთან დაკავშირებით 1937 წელში, საქ. სახკინმრეწვი იწყებს სამზადისს მისი პოემის „ვეფხის-ტყაოსანი"-ს ეკრანზე საჩვენებლად.

ითვალისწინებს რა ქართულ ლიტერატურის უდიდესი ძეგლის ეკრანიზაციის უაღრესად დიდ მნიშვნელობას, საქ. სახკინმრეწვი აცხადებს კონკურსს

„ვეფხის-ტყაოსანი"-ს დასადგმელად საუკეთესო ლიტერატურულ კინო-სცენარზე შემდეგი პირობებით:

1. კინო-სცენარი უნდა წარმოადგენდეს დრამატურგიულად მთლიან და მაღალ ხარისხოვან მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიაც შენარჩუნებული უნდა იყოს პოემის ყველა საუკეთესო ადგილები და გმირები იმ ანგარიშით, რომ მისი მოცულობა გაანგარიშებული იყოს ერთ სრულმეტრიან ხმოვან სურათზე (7 ნაწილად).

2. კინო-სცენარები განხილული იქნება და ჯილდოს მიუსჯის ჟიური, რომლის შემადგენლობა დამტკიცებულია საქ. კ.პ. (ბ) ცეკას ა.-წ. 28 აგვისტოს დადგენილების თანახმად დაარსებულ შოთა რუსთაველის საიუბილეო ზეიმის მომწყობ მთავრობის კომისიის მიერ (დადგენილება იხ. გაზ. „კომუნისტი" 26 აგვისტო).

3. საუკეთესო სალიტერატურო სცენარებისათვის დაწესებულია შემდეგი სამი ჯილდო:

1-ლი ჯილდო . . . . 30.000 მან.
მე-2 „ . . . . 20.000 „
მე-3 „ . . . . 15.000 „

შენიშვნა: ჟიური განიხილავს აგრეთვე კონკურსში წარმოდგენილ ლიბრეტოებსაც. ლიბრეტოზე ჯილდოს მისჯის შემთხვევაში, ჯილდოს რაოდენობა შემცირებული იქნება ნახევრად.

4. კონკურსი დახურულია. ავტორებმა სცენარი უნდა წარმოადგინონ დევიზის ქვეშ. ავტორების გვარები წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში იმავე დევიზის ქვეშ.

5. საქ. სახკინმრეწვს უფლება ეძლევა ისარგებლოს დასადგმელად ან შემდგომ გადასამუშავებლად კონკურსზე წარმოდგენილ როგორც დაჯილდოებულ, ისე დაუჯილდოებელ სცენარებით და ლიბრეტოებით მხოლოდ დაწესებულ საავტორო ჰონორარის გაცემის შემდეგ.

6. კონკურსზე სცენარის წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 1935 წლ. 30 ივნისი.

7. სცენარი წარმოდგენილი უნდა იქნეს 2 ცალად მანქანაზე გადაბეჭდილი.

8. კონკურსის შედეგები გამოცხადდება პრესაში.

კონკურსის შესახებ ყოველგვარი განცხადების მიღება შეიძლება და ყველა მასალები უნდა გადაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

ტფილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 164, სახკინმრეწვის კინო-ფაბრიკის სამხატვრო-სასცენარო განყოფილება კონკურსისათვის.

საქ. სახკინმრეწვი.

თანახმად საქ. სარეწაო სატყეო კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებისა მიმდინარეობს ქობულეთის რაიონში არსებულ არტელ „აჭარ-კოოპტყე"-ს
ლიკვიდაცია
ყოველგვარი პრეტენზიების მიღება ლიკვიდკომთან 15 სექტემბრამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება განხილული.
ნ. 435 ლიკვიდკომი.

ქუთაისის პედინსტიტუტში ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება გაზ. „კომუნისტ"-ში.
სწავლა II, III და IV კურსების ყველა სექციაზე იწყება 15 სექტემბერს, პირველ კურსზე 25 სექტემბერს.
ი. 438 პედინსტიტუტის დირექცია

იხსნება საღამოს საშუალო სასწავლებელი
10 წლედი
მოზრდილთათვის
მიღება წარმოებს ართულ და რუსულ [illegible] მოწმობების მიხედვით.
იხსნება აგრეთვე მოსამზადებელი კლასი. [illegible] სალ მოს 6—10 სა[illegible] და ახალ-არსენალის კუთხე № 1, [illegible] სკოლის შენობა
5070 დირექცია.

ექიმი
ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, და საღამოს 6—8 საათ.
მისამართი კამოს ქუჩა № 72 (ალექსანდროვის საავადმყ. პირდაპირ

ამხ. ბერიას სახ. ტფილ. ფიზკულტურის ტექნიკუმში
მისაღები გამოცდები იწარმოებს 10—13 სექტემბრამდე (სწავლა იწყება 15 სექტემბერს).
მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიებით 65—125 მანეთამდე. ტექნიკუმს აქვს საერთო საცხოვრებელი.
კურსდამთავრებულთ ეძლევათ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების უფლება.
5067 ტექნიკუმის დირექცია.

იკითხეთ და გაავრცელეთ
„კოლექტივიზაცია"
აშუქებს სოფლის მეურნეობის საკითხებს: სახელმძღვანელო წერილები, მხატვრული ნარკვევები, პატარა ფელეტონები, კონსულტაცია საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე და სხვა. შინაური და საგარეო ინფორმაცია, საერთაშორისო მიმოხილვები.

და ქეთო, ქმარი პოლიევქტი შვილით ცია ლათი ტყაბლაძეები, იუწყებიან ძვირფასი კატუშა ფურცელაძე—ნიჟარაძის უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ბაღდათში 6 სექტემბერს. ქვ. 5051

ბესარიონ ბიჭია-ძე დეკანოსიძე აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ 8 სექტემბერს 6 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი
ნატალია გიორგის ას. ჟუჟიანი—დეკანოსიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. ქვ. 5073

მშობლები: მარო, ვალიკო, ძმები: ჭოლა, ანატოლი ნუცუბიძეები, მამიდა ნინა, ბიძა მოსე და ვერა გოგსაძეები იუწყებიან, რომ 8 სექტემბერს 5 ს. დიდუბისაში სერგეთის სასაფლაოზე დანიშნულია
ოთარი ვარლამის-ძე ნუცუბიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. ქვ. 5052

[illegible] ანტონი, ძმები ილიკო და ვანო, დები დარეჯანი და ქეთო, რძალი ტატიანა, კალანდაძე იუწყებიან მხატვარ
შალვა ანტონის-ძე ძნელაძის
გარდაცვალებას. დასაფლავება ჩოხატაურში 9 სექტემბერს. ქვ. 5069

საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირის პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება, რომ ა.-წ. 3 სექტემბერს ქ. ჩოხატაურში უდროოდ გარდაიცვალა მხატვარი
შალვა ანტონის-ძე ძნელაძე
დაკრძალვა ჩოხატაურში 9 სექტემბერს. ქვ. 5066

მეუღლე ფარნაოზ შვილებით ილიკო, ანტი და ცუცა სვანიშვილები იუწყებიან
სოფიო ესეს ასულ სვანიშვილის
გარდაცვალებას, დასაფლავება სოფ. ხიდისთავში 8 სექტემბერს. ქვ. 5063

შვილები ლიზა, მინა, ფოსინე, კაკა. სიძეები ალექსანდრე ჩიჩუა, ვარლამ ბასილაია, კოსტა ლეჟავა, ნიკოლოზ ბერძენიშვილი იუწყებიან
სოფიო ესეს-ასული სვანიშვილის
გარდაცვალებას, დასაფლავება სოფ ხიდისთავში (გურია) 8 სექტემბ. ქვ. 5068

მისამართები: რედაქციის, რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის, რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—62—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—06,88, მასობრივი განყოფილების 3—73 —24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3— 73—40, სტამბის 3 —27— 04.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული ა 643